

ანკა ვისდვი

## გულთამპყრობელის საზარელი აღსასრული

### ქალთმოპულე დივერტისმენტი

(თარგმნა ნინო ციმაკურიძემ)

#### პერსონაჟები:

**დონ ჯოვანი:** პროფესიონალი ანდა ხელოვანი გულთამპყრობელი, წყაროებისდა მიხედვით. ორმოცს კარგა გადაცილებული, ტრადიციისამებრ თმაშევერცხლილი. ხელები, ფრჩხილები, თმა – ძალზე მოვლილი. სამოსი სუფთა, გახამებული, სურნელმოკურებული. ყელზე თეთრი აბრეშუმი აქვს შემოსვეული, ნეკა თითზე გერბიანი ბეჭედი უკეთია. დანარჩენი – ბუნებრივად გამომდინარე ზემოთთქმულიდან.

**ლეპორელი:** უბრალო სულის, მაგრამ ერთგული. დონ ჯოვანიზე უფროსია. მუდამ მასთან მსახურებდა, თუ არ ჩავთვლით მეფის ჯარში ხანმოკლე და შიშით აღსავსე სამსახურს. ცივილურ მანერებს მიღმა შეინარჩუნა მყარი სადი აზრი და თითქმის დედობრივად ნაზი მიმტევებლობა თავისი პატრონის მიმართ.

**ელვირა:** ახალგაზრდა თავქარიანი ქალი, რომელიც არაფერს დაერიდება და რომელიც სულაც არ გახლავთ დონ ჯოვანის ამავე სახელის მქონე მითიური მეუღლე, არამედ უმცროსი და გულთამპყრობელის მსხვერპლ დონა ანასი და ქალიშვილი გარდაცვლილი კომანდორისა. მოწიფულ ასაკს ძლივს მიღწეული, არავინ უწყის, რა გეგმებს ხლართავს. იშვიათად თუ ამბობს, საიდან მოდის და არასოდეს - თუ საით უჭირავს გეზი. წითური თმა აქვს, ასეთივე ჭორფლი, თეთრი კაბა აცვია. მისი ცხოვრების სიამენი: ნამცხვრები, ფული, სასტიკი შურისძიება და ჯადოსნური ზღაპრები. თანმიმდევრობით.

**კომანდორი:** ელვირას მამა. მას შემდეგ, რაც დუელში მოკლა დონ ჯოვანიმ, მინერალის გარეგნობა მიიღო, რომელიც ერთ ტონას იწონის და ხუთი ფუტი სიმაღლისაა. ეს ხელს სულ არ უშლის ლაპარაკში და არც სტუმრად სიარულში, როცა საიქიოში საჩქარო რამ საქმე არ აკავებს.

### ფარდის ახდისას:

ლუი XV-ის სტილის სასტუმრო ოთახი. შუაში დიდი ფანჯარაა, საიდანაც მოპირდაპირე სახლის აივანი მოჩანს. მარცხნივ შემოსასვლელი კარია, ხოლო მარჯვნივ ბატონის ოთახებში გამავალი კარი. დონ ჯოვანი უზის პატარა მაგიდას, სადაც ორ კაცზეა სუფრა გაშლილი. უკან თეთრ ხელთათმანიანი ლეპორელო დგას და ელოდება. იგი ხშირად მიმართავს შეწუხებულ მზერას კედლის საათისაკენ. საათის ირგვლივ ნამდვილი ნადირობის ალაფია გამოფენილი: ფოტოები, პორტრეტები, მინიატურები, ნახატები წარმოადგენენ ცთუნებულ ქალბატონებს (რომელთა რიცხვი ლეგენდის მიხედვით ათას რვაასია) და ამდენივე თმის კულუღი, პაწია საცეკვაო მაშიები, ბაფთები და ქალთა ქვეყანაში მოგზაურობის ამსახველი სხვა სახსოვარი. დონ ჯოვანისა და ლეპორელოს შესაძლოა, თანამედროვე ტანსაცმელი ეცვათ ან მოცარტისა და და პონტეს (1) ეპოქისა. ამას მართლა არა აქვს არანაირი მნიშვნელობა. თავდაპირველი და საბოლოო სცენებისას მინიშნებული უნდა იქნას ვახშმის არია “Già la mensa è preparata“ “დონ ჯოვანის” (2) ბოლო აქტიდან.

## 1.

- დონ ჯოვანი: რომელი საათია, ლეპორელო?
- ლეპორელო: ერთი წუთით მეტია, ვიდრე ბოლოს რომ მკითხა თქვენმა მოწყალებამ.
- დონ ჯოვანი: ანუ ?
- ლეპორელო: თერთმეტის ოცი წუთია...
- დონ ჯოვანი (დაძაბული სიცილით): მოჩვენებები უწინდებურნი აღარ არიან. მათი პუნქტუალობის იმედიც თუ აღარ გექნა... კომანდორმა, ნამდვილად რვა საათზე მოვალო, არა?
- ლეპორელო: თუ თქვენი მოწყალება ნებას დამრთავს, გავუმეორებ, რაც უკვე ასწვიდმეტჯერ ვუთხარი წუხანდლიდან მოყოლებული: თქვენი მოწყალება შეცდა, ეს ქვის კაცი ვახშმად რომ მოიწვია.
- დონ ჯოვანი: ლეპორელო, მშიშარა, ვერაგო, ლაჩარო, ლაჩრების ჯიშისა და ჯილაგისაგ! შენის აზრით, ამ კაცის გამოწვევა ვერ უნდა მიმელო მხოლოდ იმ აბსურდული მიზეზის გამო, რომ იგი ქვისაა?
- ლეპორელო: თავს ნებას მივცემ, შევასხენო თქვენს მოწყალებას, რომ საუბარია ქვის კაცზე, რომელიც არ სჯერდება იმას, რომ შვიდი ფუტი სიმაღლისაა და, თუ გავითვალისწინებთ საუცხოო ხარისხს მარმარილოსი, რაშიც გამოკვეთილა, კარგ ტონასაც უნდა იწონიდეს. მის სიცივეზე აღარაფერს ვამბობ... ბრრ!
- დონ ჯოვანი: ლეპორელო, წყეულო კურდღელო. რა ცოტა კმარა შენს შესაშინებლად. კენჭი რომ დაინახო, ისიც აგაცახცახებს...
- ლეპორელო: თქვენი მოწყალების ნებართვით, თუ ვივარაუდებთ, რომ ხსენებული კენჭი იმის წონისა იქნა და ციდან პირდაპირ ჩემკენ გამოექანა, სწორედაც რომ ვაღიარებ: ასეთი კენჭი ვის არ შეაშინებდა? ჩვენი ქვის კაცი კიდევ იმითაა სახიფათო, რომ ლაპარაკობს და მოძრაობს. მერედა, როგორ მოძრაობს... (აჯავრებს) ტა... ტა... ტა... ტა... იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ იარაღასხმულია.
- დონ ჯოვანი: ქვის იარაღი...
- ლეპორელო: რომელიც რკინისაზე მძიმეა ! თანაც, ვაი, რომ ამ კაცს ორმაგი მიზეზი აქვს, ჩვენს სახლობას ერჩოდეს. რადგანაც თქვენი მოწყალება არ დასჯერდა მის მოკვდინებას, როცა ჯერ კიდევ ძვალ-ხორცი ება და ქალიშვილიც გაუბახა, დონა ანა... მან კიდევ თავი მოიკლა. სიყვარულის სატანჯველის გამო. ვარაუდს აღარ ვუწევ მითქმა-მოთქმას, რომ თავად დედა დონა ანასი და მეუღლე კომანდორისა...
- დონ ჯოვანი (აწყვეტინებს): ძველი ამბებია ეს ყველაფერი. ლეპორელო... რომელი საათია?
- ლეპორელო: თერთმეტის ოცდარეო წუთია.
- დონ ჯოვანი: ლეპორელო, ვახშამი მომართვი!
- ლეპორელო: თქვენო მოწყალებაგ, ხომ არ აჯობებდა, ცოტა კიდევ დაგეცადათ?
- დონ ჯოვანი: ღმერთმანი, კომანდორი მოგნატრებია.
- ლეპორელო: უკეთ რომ ვთქვათ, მირჩვენია, სუფრას მაშინ მივუჯდე, როცა ქვის კაცის მოსვლის შიშისაგან გავთავისუფლდები. როგორც წესი და რიგია, ისე ვერ შეჭამ, თუ ყოველწამს შიში გემუქრება, ლუკმა ყელში გამეჩხირებაო.

დონ ჯოვანი: შიში? მუქარა? რა ენით მელაპარაკები? ეს შენი პატრონის ენა არაა. გისმენ და არ მესმის, ლეპორელო.

ლეპორელო: ისა... შიში ისაა, რო... მუხლებს რო აგიკანკალებს, ხელებს გაგიოფლიანებს და კბილს კბილზე დაგაცემინებს, ვ... ვ... გულის ...ვ... ვ... ცემას რო... ვ... ვ... შეგიჩერებს.

დონ ჯოვანი: გეყოფა, ქვეშაფსია! შენ გაქვს პატივი, ემსახურებოდე ერთადერთ აზნაურს, რომელმაც არ იცის, რა არის შიში, სინდისის ქენჯნა და სხვა ასეთი აბდაუბდა, კაცს რომ ადამბლაგებს და ენას გადააყლაპინებს. და მაინც ასერხებ, რომ გეშინოდეს? აბა, მარდად, სადილი და... რომელი საათია?

ლეპორელო: თერთმეტის ოცდასამი წუთია. Ave Maria Grazia. (3)

(ლეპორელო მიდის და ბრუნდება ლანგრით, რომელზეც მსუქანი ინდაური წამომართულა, ამასობაში დონ ჯოვანი უსტვენს არიას “ფიგაროს ქორწინებიდან”: “Non più andrai farfallone amoroso!” ) (4)

დონ ჯოვანი: აი მშვენიერი ფრინველი, არც ქვისაა და არც ცეცხლის. მისი კომპანია ფრიად სასიამოვნოდ შეცვლის კომანდორისას... სხვათა შორის, ეს ინდაური მის ქალიშვილს, დონა ანას მაგონებს... (იცინის) იგივე პასიური უტვინო ხორცი და მადისაღმძვრელი ლაპლაპა სიმსუქნე.

ლეპორელო: თქვენი მოწყალება კარგს იზამდა, თუ მეტს აღარ შეურაცხყოფდა ზეცას... თუ შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ამაზე მეტად შეურაცხყოფა. Ave Maria Grazia. თერთმეტის ოცდაოთხი წუთი. Ave Maria Grazia. Ave Maria... კიდევ ერთხელ თერთმეტის ოცდაოთხი წუთი... ეს საათი ხომ არ გაჩერდა, ნეტავ? ისრები წინ აღარ მიდის. (მიდის საათთან და წიკწიკს აყურადებს). თუმცადა... მუშაობს... Ave Maria Grazia.

დონ ჯოვანი: საკმარისია. სხვა ლოცვა არ იცი?

ლეპორელო : თქვენის ნებართვით, ამ ლოცვისაც მარტო დასაწყისი ვიცი. თქვენი მოწყალება ნუ წამართმევს შევებს, ამ სამი სიტყვის სასოწარკვეთილი გამეორება რომ მგვრის. ერთადერთი ღვთის საამებელი სიტყვებია, რაც ვიცი... თუ არ მიწყენთ, თქვენი სასიყვარულო თავგადასავლების ამბებისა და რამდენიმე ჯარისკაცული სიმღერის გარდა თქვენს სამსახურში არაფერი მისწავლია. ლოცვები ხომ ყველაზე ნაკლებად... Ave Maria Grazia... (ინდაურს ჭრის)

დონ ჯოვანი: გულუბრყვილო ხარ! მაშ ამ ინდაური ანას გაქვავებული მამისა გეშინია? (ბარკალს კბეხს) ახლავე შევსანსლაგ შენ თვალწინ...

ლეპორელო: თქვენს შესაცბუნებლად კი არ ვამბობ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ფრთოსანიც შეგხვდება, სახიფათოდ მაღლა მდგომი ნათესაობა რომ ჰყავს. მეფის ჯარისკაცი რომ ვიყავი, კაპიტანი მყავდა, რომელიც დღენიადაგ ერთი ყურებპარტყუნა პატარა სერჟანტის აბუჩად აგდებით ერთობოდა. ერთ მშვენიერ დღეს გენერალი მოვიდა ინსპექციის ჩასატარებლად. მერედა ვინ აღმოჩნდა ეს გენერალი? ვინა და ჩვენი დაბალი ღობის მშობელი მამა. პოდა, თავად წარმოიდგინეთ, როგორ გაშლიდა მხრებს ჩვენი კაპიტანი. მისდა საბედნიეროდ, დიდხანს ვეღარც გაატანა. ოფიცრებს ნამდვილად არ უხდებათ მარილის საბადოები... თერთმეტის ოცდახუთი წუთი...

დონ ჯოვანი: წამდაუწუმ ფანჯარაში რატომ იყურები ბორდელის გოგოსავით?

ლექორელი: ეგება, ჩვენს უბანში ამდენი თავგადასავლის შემდეგ თქვენს მოწყალებას ისიც კი დაავიწყდა, რომ მოპირდაპირე სახლი აწ გარდაცვლილი კომანდორისაა? სახლი, სადაც თქვენმა მოწყალებამ ერთობ ნაჩქარევი და არც მაინცდამაინც რაინდული პატივი მიაგო დონა ანას. რა ვიცით, რა ხდება: “გიჯობს იმ მიმართულებით იყურო, საიდანაც ტყვია შეიძლება გამოვარდეს...”, გვეტყოდა ხოლმე ჩემი კაპიტანი. აი ის, რომელმაც თავად ვერ გამოიყენა ეს ბრძნული შეგონება, როცა საჭირო იყო. (შეუსვენებლივ) თერთმეტის ოცდაექვი წუთი.

დონ ჯოვანი: თავი დაანებე იმ შენს კაპიტანს, დალპეს მარილის საბადოში. და კიდევ, გეყოფა საათის რეკვა, თითქოს ეკლესიის ზარი იყო! მაშინ მითხარი, როცა შეგეკითხები.

ლექორელი: ჩემი შიში უფრო ხშირად მეკითხება, ვიდრე თქვენ. (შემოსასვლელ კარზე სამი დაკაკუნება ისმის.) Ave Maria Grazia... ესეც ზეცის რისხვა. გეუბნებოდით, ასეთი გარყვნილი ცხოვრება კარგს არაფერს მოგვიტანს-თქო. მე – განსაკუთრებით. თქვენ ყოველთვის შეძლებთ, თავი დაიძვრინოთ: ქონება, კეთილშობილი წარმოშობა... გაქვთ ის, რითიც ივაჭრებდით უკანასკნელ სამსჯავროზე. ზეციური მეხიც, თქვენი ჯოხისა არ იყოს, ჩემს გოგრას მოხვდება. როგორც ყოველთვის.

დონ ჯოვანი: კარი გააღე.

ლექორელი: Signor, il padron mio...(5) ეგება თავი მოვაჩვენოთ, ვითომ სახლში არა ვართ?..

დონ ჯოვანი: გააღე-მეთქი!

ლექორელი : ქვის კაცი რომ იყოს ?

დონ ჯოვანი: დაგვიანებისათვის დატუქსავ და... ეგ არის! (ხმაურით იცინის)

ლექორელი : ცოდვას, იცინო სახლში, სადაც ორი მომავალი მკვდარია, თქვენო მოწყალებავე, თუნდაც ერთი მათგანი მდაბიო იყოს !

(კარზე გაორმაგებული კაკუნია)

დონ ჯოვანი : გააღე, ლექორელი! თორემ გაიტყვიპები!

ლექორელი (ყოყმანობს): ახლავე გატყეპვა, არა?... ან სიკვდილი... ცოტა უფრო გვიან?... ლაჩრები ვართ, კი ბატონო. მაღე უნდა მოვიფიქროთ. (მიდის კარისაკენ, შუა გზაზე ჩერდება) თქვენო მოწყალებავე, ისევე რომ დაიწყოს სიარული, როგორც თავის სარდაფში .... ტა... ტა.... ტა...., ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადავდგამ. დამერწმუნეთ, ჩემი ნდომა-არნდომა არაფერ შუაში იქნება.

დონ ჯოვანი (წარბებს იჭმუხნის და ხმაღს წააგლებს ხელს) : მიდი !

ლექორელი (ზეცისაკენ) : ის მიბრძანებს ! ისაა დონა ანას მაცდუნებელი ! რა უსამართლობაა ! ყოველთვის ერთნი მიირთმევენ და არაფერს იხდიან, ხოლო მეორენი, შიმშილი მემკვიდრეობით რომ ერგოთ, იხდიან ისე, რომ საჭმლის ნამუსრევიც არ დაუყნოსიათ. Ave Maria Grazia.

(ლექორელი კარის გასაღებად მიდის. მოისმის პატარა ქუსლიანი ფეხსაცმლის ხმა: პლაკ... პლაკ... პლაკ...)

დონ ჯოვანი (აყურადებს): ქალის ფეხსაცმელი... 36 ზომა... ორმაგი ლანჩა... თუ ესაა გულისგამხეთქი ტა... ტა... ტა... ტა.... !

(ლეპორელო შემოდის, და, გაოგნებული, რაღაცის თქმას ლამობს)

ლეპორელო: თქვენო... ე... საქმე ისაა, რო... Ave Maria Grazia!

(ოთახში შემოვარდება ელვირა, გზად ლეპორელოს წაეჯახება და დონ ჯოვანის წინ დაერტობა)

ელვირა: სად არის ბებერი მუსუსი?  
დონ ჯოვანი (ქირქილით წამოდგება): მაშ კომანდორს შეეშინდა, მოსულიყო? ესე იგი დონ ჯოვანი აჩრდილებსაც აფროთხობს?

(ელვირა ძალზე თავისუფლად გრძნობს თავს, დონ ჯოვანის წინ დაჯდება და ლეპორელოს ანიშნებს, მომართვიო)

ელვირა: მამა ბოდიშის გითვლით. სასწრაფო საქმეები აყოვნებს ამაღამ საიქიოში. სანაცვლოდ მე მოვედი: მისი უმცროსი ქალიშვილი ვარ. დონ ჯოვანი (ლეპორელოს): არათუ ჯოჯოხეთში არ მიგვათრევს, ანგელოზსაც კი გვიგზავნის... (ხმადაბლა) რომელსაც ერთი ნაბიჯი აშორებს დაცემამდე. აჰ, რა სასიამოვნო შრომაა, ნორჩი უმანკო არსება ჯოჯოხეთს გაამწესო!

ელვირა: ვინ ვის გაამწესებს... მაგასაც ვნახავთ.

დონ ჯოვანი : დახეთ, პაწაწა მტრედს აზრების კითხვაც ცოდნია.

ელვირა : პაწაწა მტრედი, ინდაურის და? ზოოლოგიის შესწავლით თავი არ უნდა დაგემძინებინოთ ! (ინდაურზე მიანიშნებს, ლეპორელოს) რას გაშეშებულხართ ? ქვისა ხომ არა ხართ ?

ლეპორელო : ვინა, მე ? ნამდვილად არა ! (სიმხნევეს მოიკრებს, ჩაილაპარაკებს). ამ ოჯახში ყველა გადარეულია.

ელვირა : ჩემი დის ბარკალი მომაწოდე. ასე უწოდეთ, არა ? და გაინძერით, სანამ თქვენს ხეპრე პატრონს ყველაფერი არ გადაუნთქავს !

დონ ჯოვანი : კარს უკან აყურადებთ ხოლმე ?

ელვირა: რაში მჭირდება, თუკი შემიძლია, წავიკითხო აზრებიც, მომავალიც და წარსულიც?!

დონ ჯოვანი: (მომხიბლავად) აზრებს მეც ვკითხულობ...

ელვირა: ეს სხვა ამბავია. მერედა რას კითხულობთ ჩემს აზრებში?

ლეპორელო (ელვირას): აჰ, არა! თუ ყველა ხერხს გაუნიორწყლებთ, რითიც შთაბეჭდილებას ახდენს... ვერასოდეს მოახერხებს თქვენს მონადირებას!

დონ ჯოვანი (მრისხანედ): ხმა გაკმინდე, ლეპორელო! (ელვირას, თავლივით დამტკებარი) სხვათა შორის, თქვენს თვალებში ვკითხულობ, რომ მატყუარა ხართ. თქვენი ბაგეები იმას არ გადმოსცემენ, რასაც თვალები ფიქრობენ.

ლეპორელო (თავისთვის): თვალები ფიქრობენ? ეტყობა, დაიღალა... (დაეჭკვებით) თუ აღელდა? ოჰ, ოღონდ ეს არა! Ave Maria.

დონ ჯოვანი: თქვენი თვალები ამბობენ, რომ ცოტათი უკვე მოგწონვართ.

ელვირა (გულწრფელობას გაითამაშებს): ხუმრობის გარეშე! უკვე შეამჩნიეთ! როგორ მოახერხეთ?

დონ ჯოვანი (ნაამები): საკმარისი იყო, გულის თვალებით შემეხედა...

ელვირა: მეც ასე ვიფიქრე: ბრმა გული გქონიათ. თეთრი სატყუარი უნდა დაგარტოთ კაცმა და ბრმის ხელჯოხიც გექნებათ.

დონ ჯოვანი (ხალისით, ლეპორელოს): ნესტარით ენა ჰქონია, ხედავ ?

ლეპორელო : გაფროთხილდით, თქვენო მოწყალებავ... ამ ნესტრით ისე

დაგკოდავთ, გონზე მოსვლას ვერ მოასწრებთ!

ელვირა (დონ ჯოვანის): ბოლო შანსს გაძლევთ: მითხარით, რა მქვია?

(ირონიულად) ჩემს ფიქრებში წაიკითხეთ !

დონ ჯოვანი : თქვენი სახელი როგორ არ ვიცი ! ის შეიძლება იყოს მხოლოდ

Bellissima (6), რადგან დღის შუქივით მშვენიერი ხართ.. (ელვირა უარს ანიშნებს) ან კიდევ Amorosa (7), რადგან, რაც არ უნდა უარობდეთ, ცოტა ხანიც და გაშმაგებით შეგიყვარდებით. (ელვირა იგივე შესტს აკეთებს) თუ უბრალოდ Generosa (8) არა...

დიდსულოვანი, როგორც ქორფა მშვენიერება, რომელიც თავის შუქს არ იშურებს, რომ მარტოსული და სევდიანი გვიანი ზაფხული გაუნათოს მწყურვალ ბერბიჭას...

ელვირა (აწყვეტინებს): აქ გაჩერდეთ! ჩემი სახელი ელვირაა. აღარ გახსოვთ?

სულ პატარა გოგო ვიყავი, თქვენს მუხლებზე რომ მათამაშებდით. ჩემი დის სანახავად რომ მოდიოდით... უფრო სწორად, ერთადერთხელ მოხვედით მის სანახავად ... და მის დასაღუპად.

დონ ჯოვანი (თითქოს იხსენებს): აკი არ ვფიქრობდი, ასეთი სახე

შეუძლებელია, დაივიწყო-მეთქი! ჯერ ერთი, ჩემო ანგელოზო, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ თქვენი და მხოლოდ საბაბი იყო. ნამდვილად კი თქვენს სანახავად მოვდიოდი... ელვირა, ელვირა, ყველაფერი მაგონდება.

ელვირა: ჩინებული მეხსიერებაა! ნამდვილი ელვირას ხსოვნაც კი აღარ შემოუნახავს. სხვა ელვირასი! ერთისა იმ ასოცდაექვს ქალთაგან, საიდუმლო ქორწინებით რომ შეეუღლეთ. თანაც იგი ჩემი ბიძაშვილი იყო! რაებს გვიყვებოდა თქვენზე (იციინის). ნუ ღელავთ: მე მას არა ვგავარ! რომანტიული ჩერჩეტი იყო და ნაბოღვარით ჰქონდა გული გამოტენილი.

დონ ჯოვანი: ყველა ქალი რომანტიულია.

ელვირა: ეს სადღა გასწავლეს? ბორდელში?

(ელვირას სიცილი უტყდება და ველარ ჩერდება)

ლეპორელო: თქვენი სტუმარი ისე მეტყველებს...

დონ ჯოვანი (აღტაცებული): გასაოცრად, არა? მერე როგორი გულახდილია!

(ელვირა ისევ იციინის და პატარა ბავშვივით უკრავს ტაშს) რა ლამაზად იციინის! ბროლი, შამპანური და ქარვის სამი ნამცვრევი... იციინეთ, ჩემი ბავშვო, კიდევ იციინეთ. გულს სიხარულით მივსებთ...

ელვირა (სიცილსა და სიცილს შუა): ოჰ, მაღალფარდოვანი აბუეტი... ოჰ,

ბებერი კომედიანტი!.. თვალთმაქცი ფაენი! მაშ ასეთი ყვეყნობებით ხიბლავთ ხოლმე ჩემნაირებს... მომკლა სიცილით ამ სისულელემ. როგორ ბედავენ, ამას "ტრფობა" უწოდონ?!

ლეპორელო (დონ ჯოვანის): ახალგაზრდა ქალბატონი გარეთ ხომ არ გავაცილო?

ელვირა (აიღებს ჭიქას და თავში გაუქანებს ლეპორელოს): უბედური ლაქია...

გულთამსხვრეველი პატრონი, უკანმძრომელი მსახური! რა უბადრუკები არიან!

ლეპორელო (დონ ჯოვანის): როგორ მოვიქცე, თქვენო მოწყალეობა?

დონ ჯოვანი: გრძნობათა როგორი სიჭარბეა, რა გაქანება, ჰა?

ლეპორელო: მეტისმეტიც!

დონ ჯოვანი: მეტისმეტი არა, ლეპორელო... არასოდესაა მეტი!

ლეპორელო: ჭიქა თქვენთვის ხომ არ გამოუქანებია. (თავისთვის) კარგად ვხედავ: სულ ერთსა და იმავე ხალხს უწევს დანახარჯის

- გადახდა. ქალიშვილი კი ჩემი პატრონის არჩივი გახდება.  
 ელვირა (სიცოცხლს წყვეტს, ლეპორელოს) : ეგ ბოლოს გამოჩნდება !  
 ლეპორელი (შეცბუნებული): რას ინებებთ, დონა ელვირა, ღვინოს, შამპანურს, ხოსობს?
- ელვირა (პირველად იჩენს საუბრით დაინტერესებას): ნამცხვარი ხომ არა გაქვთ?  
 დონ ჯოვანი: პატარა ღორმუცელა ყოფილხართ...  
 ელვირა: არა, დიდი! (ლეპორელოს) არ ვიცი, რა გაქვთ თქვენს საკუჭნაოში, მაგრამ ბლომად ათქვეფილი ნაღები დაუმატეთ... და კიდევ თხილი... და კიდევ ქიშიში!
- დონ ჯოვანი: ღორმუცელა ანგელოზი! (თავისთვის) ეს უკვე მომწონს!  
 საყვარელი გოგუცუნა პირს ნამცხვრით გამოიტენის. ჩემს თვალწინ!  
 ვთხოვ, მეც მიწილადე-თქო. თითო ნამცხვრიდან ერთი ლუკმა – მას,  
 ერთი ლუკმა – მე. ჯერ პუტკუნა თათს გამომიწვდის... მერე ოდნავ  
 გაღებულ პატარა ტუჩებსაც, ქუთუთოებს მინაბავს და წამწამები  
 აუთრთოლდება.
- ელვირა (პროზაული ტონით): აჰ, არა! დონ ჯოვანისთვის ნამცხვარი არ  
 შეიძლება! ისედაც საკმაოდ მსუქანია!  
 დონ ჯოვანი: მსუქანი, მე? ცხოვრებაში არ ვყოფილვარ! მხოლოდ... ცოტა  
 ჩასხმული!
- ელვირა: როგორ არა, როგორ არა, დამიჯერეთ. დუნდულოები ჩამოშვებული  
 გაქვთ, ლოყებიც... ღიპზე აღარ ვლაპარაკობ... აქ უკვე  
 ტრაგიკულადაა საქმე.
- ლეპორელი: რამდენჯერ მითქვამს თქვენი მოწყალებისათვის, ვარჯიშია-თქო  
 საჭირო. თორემ ქონს მოიკიდებთ-თქო. უფრო სწორად, ქონზე ქონი  
 მოგემატებათ-თქო. დროთა განმავლობაში კი ჭარბი წონა,  
 ქალბატონებთან, საწოლში-თქო...
- დონ ჯოვანი: (მრისხანედ): ხმა გაკმინდე, ლეპორელი!  
 ელვირა (ხალისით): ხმა გაკმინდე, ლეპორელი. სახელმწიფო საიდუმლო არ  
 გათქვა... უკაცრავად, სახელმწიფო კი არა... შენი პატრონის...  
 საწოლი ოთახის.
- დონ ჯოვანი (ცერემონიულად): ელვირა, მიუხედავად თქვენი ქედმაღლობისა და  
 სიჯიუტისა, რასაც მხოლოდ იმისათვის იყენებთ, რომ უსიამოვნო  
 რამეები მითხრათ, პატივი მაქვს, ხელი გთხოვოთ.
- ელვირა : აჰა ! მძიმე არტილერია ამოქმედდა ! ბუმ. ბუმ. ისე, ვითარც  
 (თითქოს ჩაფიქრდა) ათას ექვსას თექვსმეტ წელს...  
 (ლეპორელოს) კიდევ ისვრის ჟანგიანი სქელი ზარბაზანი ! ოღონდ  
 თივის ჭურვებს !
- ლეპორელი : ჰი, ჰი.  
 დონ ჯოვანი : ლეპორელი, რას ამბობ ?  
 ლეპორელი : მე ვამბობ, რომ ქალიშვილის ლექსიკონი... ნამეტანი სამხედროა.  
 ჩემს კაპიტანს ძალიან მოეწონებოდა.
- ელვირა (ძალიან დაინტერესებული) : თქვენი კაპიტანი ლამაზია ? მკვრივი  
 ტაკუნები აქვს ? გვარიან სიმაღლეზე გამობმული და ქონის  
 ნატამალის გარეშე ? დიდი პრიალა კუნთები აქვს და ათამაშებს  
 ხოლმე, მთლად შიშველი როცა ბანაობს? გვარიანად ბალნიანია?
- დონ ჯოვანი (ნაძალადევად იცინის): ჰა, ჰა... (ჩერდება: ფერდებში ჩხვლეტს) ოჰ,  
 გამჩხვლიტა! ვეღარ ვინძრევი. მიშველეთ!
- ელვირა: ფოლადის ხანჯლები ეჭვიანობისა...  
 ლეპორელი: არა, ეს შეუძლებელია! პირველად შეეშალა ქალიშვილს. ჩემი  
 პატრონი ეჭვიანობას არასოდეს დაუტანჯავს...
- ელვირა: ჰოდა, დროც იყო...



დონ ჯოვანი (გასწორდება): მორჩა, გამიარა... უფ!

ელვირა: ნუ გეშინიათ: დაგიბრუნდებათ. მანკიერი მისწრაფებასავითაა. იტყვი, მოვიყირჭეო და აუცილებლად დაგიბრუნდება. ეჭვიანის ხუთვა... არ ი-კურ-ნე-ბა!

დონ ჯოვანი: ელვირა, ჩემს წინადადებას არ დაგუბრუნდეთ..?

ელვირა : რა ქონების პატრონი ხართ ? მიწა რამდენი გაქვთ ? სასახლეები ? რამდენი ყმა ? წისქვილები ? ტყეები ? რენტა ? კვირაში რამდენი შემეძლება, დაგხარჯო ტუალეტის საჭიროებისათვის ? ეკიპაჟისათვის? ჩემი სეფექტალებისათვის?

დონ ჯოვანი (ლეპორელოს): ჭკვიანიც რომ არის!

ლეპორელო (სეპტიკურად): მფლანგველს უფრო ვიტყვოდი! ნამცხვრებს მოვიტან. ეს ყველაზე ნაკლებ გაგვაკოტრებს. (გადის)

დონ ჯოვანი: ჩემო ანგელოზო, საკმაო ქონება მაქვს იმისათვის, რომ ყოველ დილას ამ სათაყვანო ფეფებს თქვენი წონა სუფთა ოქრო დაუწყო წინ.

ელვირა: ადვილი საქმეა! მე ხომ მსუბუქი ვარ! უფრო პატიოსანი საქციელი იქნებოდა, მამახემის წონა ოქრო შემოგეთავაზებინათ.

დონ ჯოვანი (შეწუხებული): ცოცხლისა თუ გამოქანდაკებულის ? ძუნწი არ გეგონოთ... მაგრამ მარმარილო ისეთი მძიმეა...

ელვირა: მოიცა, მოიცა, დონ ჯოვანი სერიოზულად ფიქრობს დანაპირების შესრულებას... ცუდის მომასწავებელია.

დონ ჯოვანი: მაშ მთანხმდებით?

(ლეპორელოს შემოაქვს ნამცხვრები. ელვირა ეცემა და ერთ ნამცხვარს ააცლის)

ელვირა (პირგამოტენილი): რასაკვირველია, გთანხმდებით.

დონ ჯოვანი: ესე იგი, გიყვარვართ? (ლეპორელოს) უკეე?!

ელვირა: ... არა.

დონ ჯოვანი: აბა?

ელვირა: ყოველდღიურად მამის წონა ოქროზე უარის თქმა როგორ შეიძლება? უამრავი ჟიგოლოსათვის მეყოფა...

დონ ჯოვანი (ლეპორელოს): როგორი მხიარულია.

ლეპორელო: თავხედი უფროა! თან ისეთი ენა აქვს... ისეთი ენა!

ელვირა: ეს იმიტომ, რომ მე ვარ ქალი არსაიდან. მაშასადამე მომავლიდან. ნაძღვევი ხომ არ დავდოთ, რომ აქედან მოყოლებული ოთხი საუკუნის განმავლობაში ყველა ქალი ასე ილაპარაკებს?

ლეპორელო: ღმერთმა დაგიფაროს!

დონ ჯოვანი: კაცები, კაცები როგორდა ილაპარაკებენ?

ელვირა: ოჰ, კაცები! ისინი დიდად არ შეიცვლებიან. ისინი არასოდეს შეიცვლებიან. უინტერესო თემაა. ჯობს, ჩემს ჟიგოლოებზე ვილაპარაკოთ... პატარა ტაკოებიანებსა და ბალნიანებს ავიყვან... (ლეპორელოს) თქვენი კაპიტანი რამდენს გამომართმევს?

დონ ჯოვანი: მოკვდა მაგისი კაპიტანი.

ელვირა : რა დასანანია ! მისთვის, რასაკვირველია. ვაჟიშვილები არა ჰყავს?..

დონ ჯოვანი (არ აცლის ლეპორელოს): არა!

ელვირა: ეს რა ტყლარჭია დედაკაცები ჩაგიმწკრივებიათ კედელზე? ღვთისმოსავთა სურათებია?

ლეპორელო (ამაყად): ეს ჩემი პატრონის ნადავლთა პორტრეტებია: ფეხზე მდგომნი და მსხდომიარე, წელამდე და პროფილში. მედალიონები და მინიატურები. თმის კულულები, საყურეები, წვივსაკრავები, ბაფთების ნასკვები და სხვა აქსესუარები.

- ელვირა: ასეც ვფიქრობდი! (დონ ჯოვანის) როგორც ჩანს, ორი ათასი ქალი გიცთუნებიან ?
- დონ ჯოვანი (მოკრძალებით) : ე...
- ლეპორელო : სრული სიზუსტით – ორი ათას სამოცდახუთი. ბატონი ანგარიშებში არ იყურება. ამ საქმისაგან ვათავისუფლებ და კატალოგს მე ვაწარმოებ. შთამბეჭდავია, არა?
- ელვირა: მე კი მეცოტავება... (კაცები გაოცებას ვერ მაღავენ) მართლა ვამბობ: იმ კაცის კვალობაზე, რომელსაც მეტი საქმე არა აქვს... (გაოგნებული ლეპორელო სკამზე ენარცხება. დონ ჯოვანის) დღეში დაახლოებით რამდენს ისტუმრებთ?
- დონ ჯოვანი (გაბრაზებული): ადექი ახლავე, ლეპორელო, და ნამცხვრები შემოიტანე!.. ოღონდ შენი ხმა არ გამაგონო!
- ელვირა: (დგება, ხელში ნამცხვრებიან ლანგარს იკავენს და ჭამა-ჭამით სურათებს ათვალიერებს) ოჰო, აი ისიც, საბრალო ბრიყვი ელვირა. მეორე ელვირა. “შეყვარებულ სპილოს” რომ ეძახდნენ, ჩემგან რომ გაერჩიათ... ჰი, ჰი, მართლა უშველებელია. თუმცა აქ ფერ-ხორცი არცერთს აკლია... სალაში, დაიკო. სულელი რომ არ ყოფილიყო, თქვენ მოეწონებოდით ? შეხედე, დედიკოც აქ არის ? ეს კი არ ვიცოდი. ისეთი მორიდებული იყო, საწყალი... ესეც დონ ანტონიოს ცოლი... და მეფუნთუშისაც... არჩევანისას დიდად მომთხონი არა ყოფილხართ თურმე!
- დონ ჯოვანი: მე... დემოკრატი სენიორი ვარ. (იმედიანად) ხომ არ ეჭვიანობთ?
- ელვირა: ოჰ, არა... (გულგრილად) ყველა ეს ქალი საუცხოოა. მათ თვალებში გონიერება და გამორჩეულობის ანარეკლი ბრწყინავს... (ჯდება) დონ ჯოვანი, მერწმუნეთ: ორი ათას სამოცდახუთი, ორიათას ასი ვთქვათ თქვენდა საამებლად, სასაცილო რიცხვია! ან ყველაფერი ან არაფერი. (ირონიულად) თუ იცით მაინც, რამდენი ქალია დედამიწის ზურგზე?
- დონ ჯოვანი: გაფრთხილდით, ჩემო საუნჯევ, დონ ჯოვანის გამოწვევა დაუსჯელად არ ჩავივლით! თქვენი სახელი შემდეგი არ აღმოჩნდეს ჩამონათვალში.
- ელვირა: უარზე არა ვარ, დონჯო, მაგრამ ამ საღამოს მართლა არა მცალია. ჰოდა... (რამდენიმე ნამცხვარს ხელსახოცში ახვევს) არ იფიქროთ, რომ თქვენთან მოვიწყინე, მაგრამ ნანების დროა. (დონ ჯოვანის) გმადლობთ ვახშმისათვის. (დგება. ლეპორელოს) ნამცხვრებს ნაღები აკლდა... მალე გნახავთ... ალბათ! (გადის)
- დონ ჯოვანი (დგება, რომ შეაჩეროს): ასე ხომ არ წახვალთ! (კარი გაჯახუნდება. მოწვევით ჩაეშვება სავარძელში) ლეპორელო, რას იტყვი ამაზე?
- ლეპორელო (გაოგნებული): გიჟია... თუმცა იოლად გადავრჩით: კომანდორს კიდევ ეგ გვერჩია.
- დონ ჯოვანი: ნამცხვრებს როგორ ჭამდა, ნახე?
- ლეპორელო: ჭამდა, რომელია! ზუსტად გეტყვით, რამდენი შთანთქა: ორი სავარენი, სამი რომით გაჟღენთილი ბაბა, თორმეტი ხრაშუნა და ერთიც ნუშის კრემიანი, თუ არ ჩავთვლით, რომ დანარჩენებსაც გაჰკრა ცოტა კბილი. ვერ გამიგია, სად ჩაეცია ამდენი.
- დონ ჯოვანი: საშინელი რამე უნდა გითხრა, ლეპორელო! გულდასმით ვაკვირდებოდი. ისეთ სიამოვნებას იღებდა, როცა პატარა ვამპირის კბილებით მუსრავდა ნამცხვრებს, როცა ფისოსავით ილოკავდა ვარდისფერ ტუჩებს... ისეთ სიამოვნებას... უფრო დიდს, ვიდრე ოდესმე ქალთან განმიცდია საწოლში...

- ლექორელი (მაგიდას ალაგებს): რომ შევაჯამოთ, უკვე აღარ ვიცი, მართლა კომანდორი ხომ არ მირჩევნია ამ პატარა დემონს... თქვენი მოწყალება რას იტყოდა?
- დონ ჯოვანი (ფიქრებში წასული): ჰო, ჰო. (უცებ წამოდგება და ფანჯარაში იხედება) ეს უკვე გაუგონარია! არცერთი სინათლე არ ანთებულა მის სახლში. სად დაწანწალებს ნეტავ?.. ან ვისთან?
- ლექორელი (ყურადღებით ათვალიერებს ლექს ყავის ფინჯანში): მე მგონი, გადმომდო მომავლის წაკითხვის ხელოვნება. და მე ვხედავ... ბევრ უსიამოვნებას ჩვენს თავს.

(სინათლე დაეცემა ინდაურის ნარჩენს. ბნელდება)

## 2.

- ლექორელი (ნოსტალგიით ათვალიერებს კედელზე გამოფენილ პორტრეტებს):  
ქვიშა წაგვეყარა...
- დონ ჯოვანი (ჩაფიქრებით): არა, ჩავეფალით...
- ლექორელი : Signor el padron mio, ნუთუ დინებას უნდა დავეყვით?
- დონ ჯოვანი: პირიქით, მგონია, რომ როგორც იქნა, ვიღვიძებთ.
- ლექორელი: ვბერდებით.
- დონ ჯოვანი: მე კი ვგრძნობ, რომ ვახალგაზრდავდები.
- ლექორელი: ეს სიბრმავეა!
- დონ ჯოვანი: ნათელჭკვრეტაა!
- ლექორელი: აქედანაც გამოვალთ, როგორც სხვა დროს გამოვდივართ ხოლმე.
- დონ ჯოვანი (არც მაინცდამაინც დარწმუნებით): ცხადია, გამოვალთ... ეგაა, გამოსავლის პოვნას ვაგვიანებ... ვერ ვპოულობ...
- ლექორელი: თავიდან ყოველთვის ასე იცით ხოლმე...
- დონ ჯოვანი: როგორც წესი, ყოველი ახალი სამიზნე ჩემს ძარღვებს მხიარული, აღმგზნები და დამათრობელი შთაგონებით გაუღენტს ხოლმე. სხეულის ტემპერატურა დაბლა იწვევს, მზერა ზუსტი და გამჭოლი მიხდება და იმდროინდელ ტრფობის ობიექტს მისჩერებია. კუნთები მიმკვრივდება, სხეული ფხიზლობს, გონება დადარაჯებულია. ხელები ისე მიწყვია, ერთი შეხედვით ტანჯვა-კაეშანს რომ გამოხატავენ, სინამდვილეში კი მზად არიან,

წამოიჭრან, მოიხელთონ, დასრისონ...

ლეპორელი: იგი მხოლოდ ქალია, ბატონო. ისეთივე ქალი, როგორც სხვები არიან. ძველი, ნაცადი სტრატეგია მასზეც გაჭრის. ცოტათი დროს უნდა ვაცალოთ, რომ...

დონ ჯოვანი (აწყვეტინებს, დაქანცული): გენიოსი არასოდეს ყოფილხარ, ლეპორელი, მაგრამ ახლა უკვე ტრაგედიაზე მიდის საქმე!

ლეპორელი (ამრეზით): ელვირასავით დაიწყეთ ლაპარაკი.

დონ ჯოვანი: მე? ხომ არ შეიშალე?

ლეპორელი : ტვინში შეგიძვრათ და პირიდან გამოვლით. თვალებზე თავისი თვალები დაგაკრათ, და მისი სურნელით გაუდენთილ გარსში ცხოვრობთ.

დონ ჯოვანი: ბოდავ: ჩემზე არანაირი ძალა არა აქვს, მდგომარეობას სავსებით ვფლობ. ცოტა შეუძლოდა ვარ და ეგაა, სიცხე მაქვს. ამის გამოა, რომ, სამწუხაროდ, ნაკლებ ვიმორჩილებ ჩემს განწყობასა და მოძრაობას...

ლეპორელი: მეგობრულ რჩევას მოგცემთ: შეეშვით!

(დონ ჯოვანი ფანჯარასთან მიდის. დიდხანს უყურებს ელვირას სახლს და ფიქრობს. თითქოს სიტუაციას აჯამებს.)

დონ ჯოვანი: რა აქვს სხვისაგან გამორჩეული? ჰო, რა თქმა უნდა... მოულოდნელობის ეფექტი. შეტევის უპირატესობა გავუშვი ხელიდან. გამოუსწორებელი შეცდომაა! ეჭვი არაა, ქალწულია. ისიც ეჭვგარეშეა, რომ გონების ასპარეზზე ვერასოდეს დავჯაბნი. მთელი თავისი სპა შეჰყარა და თავის ნებაზე მატარა... (უეცრად შეკრთება) დახე, სახლიდან გამოვიდა. (ეჭვნეულად) სად მიდის ასე მორთულ-მოკაზმული? (ისე იხრება, ლამის გადავარდეს) კი მაგრამ... ჩვენთან მოდის! (ვალსირებს გაოგნებულ ლეპორელთან) ჩვენთან მოდის, ჩვენთან! (მოწყვეტით აგდებს ლეპორელს) სწრაფად, სწრაფად, ქალაქი! (წერას იწყებს) Presto! Prestissimo! (9) ლეპორელი, მალე, ქალის სახელი მიკარნახე!

ლეპორელი (პორტრეტებისკენ ანიშნებს): ჯერ არ მომხდარა, ქალის სახელი ვერ მოგეგონებინოთ.

დონ ჯოვანი: მალე-მეთქი!

ლეპორელი: ელვირა.

დონ ჯოვანი: ეგ არა, შტერო!

ლეპორელი: ფორტუნატა!

(დონ ჯოვანი თითებით კოცნას უგზავნის)

დონ ჯოვანი (წერს) : « ძვირფასო ფორტუნატა, წუხანდელი ღამე ღვთიური იყო. თქვენს ნაზ მკლავებში...»

ელვირა (მას შემდეგ, რაც გრიგალივით შემოიჭრა ოთახის ცენტრში) : შეიძლება, შემოვიდე ?

(დონ ჯოვანი მკვირცხლად წამოდგება. ვითომ წერილს მაღავს, მაგრამ ისე მოუხერხებლად, რომ ელვირა ამჩნევს)

დონ ჯოვანი (ყალბი შეცბუნებით): ამ სახლში თქვენი მოსვლა ყოველთვის გვიხარია, ძვირფასო ანგელოზო. ზოგჯერ მეტადაც გვიხარია,

ვიდრე სხვების, მაგრამ არ გვინდა ამაზე... (მუხლებზე ეცემა და ცერემონიულად კოცნის ხელზე) ლეპორელო, ნამცხვრები! ლეპორელო: (ელვირას, ხმადაბლა): ჩემმა ბატონმა მოხიბლა სამი მეშაქარლამე ქალი და ერთი მეფუნთუშე კაციც კი, რათა დონა ელვირას ნამცხვრები...

დონ ჯოვანი (დუნედ, თან ლეპორელოს ანიშნებს, გააგრძელო): გაჩუმდი, ლეპორელო.

ლეპორელო: მერედა რა მეშაქარლამეები: ერთი მეორეზე სანდომიანნი, გამოცდი...

დონ ჯოვანი (ისევ ისე დუნედ): გაჩუმდები თუ არა? (ელვირას) რა მშვენიერი ქულია ! ზრდასრული ქალიშვილის ქული...

ელვირა (იხრება დონ ჯოვანის მხარზე, რომ წაიკითხოს. დანანებით): ასეთ ხუმრობას ხშირად მიმართავენ ხოლმე ნაძველებიჭარ, ნასაღდათარ, ნაარტისტალი უკბილოები, ქალიშვილის წინააღმდეგობა რომ დაასუსტონ.

დონ ჯოვანი: მომხიბლავი გამონათქვამია... რომელიც სულ არ უხდება თქვენს პაწაწა მგრძნობიარე და მადისაღმძვრელ ტუჩებს. ვინ გასწავლათ ასე საუბარი? მამათქვენმა ხომ არა? სიცოცხლეში თუ ქანდაკადაცქვევის მერე?

ელვირა (ენას უყოფს): თქვენ როგორ ფიქრობთ?

დონ ჯოვანი (მოხდენილი მოძრაობით მოხდის ქუდს) : თქვენ ქალი კი არა ხართ, ელვირა, თქვენა ხართ...

ელვირა (სარკასტულად): ვიცი: თვალწარმტაცი ანგელოზი, სხივოსანი ალიონი, რომელიც ნათელს აფენს მარტოხელა ბებერი გულთამპყრობელის დამანჭულ, ბნედიან სახეს. მე ვარ კიდევ, ზეპირად ვამბობ: მთის ტბის კამკამა სარკე, სურნელოვანი აკაციის ტოტებიდან ჩამოღვენთილი თაფლი, გვალვიან მხარეებში მოვლენილი წვიმის მარგალიტი...

დონ ჯოვანი (ლოყაზე ეფერება): მხოლოდ პატარა გოგონა!

ელვირა: შემწყნარებლობას თავი დაანებეთ! საბრალო სატირო!

დონ ჯოვანი: დე, ასე იყოს: მე სატირი ვარ, თქვენ კი ნიმფა... ოღონდ მთლად ნორჩი ნიმფა, ქალი კი არა!

ელვირა: ვითომ რაო, ქალი რას აკეთებს?

დონ ჯოვანი: ქალი... ქალი... მღერის. და კლავესინზე უკრავს.

ელვირა: მეც ვმღერი და ვუკრავ კლავესინზე. ოთხი წლის ასაკიდან.

დონ ჯოვანი (დაყვავებით): ქალი ცეკვავს.

ელვირა : მეც ვცეკვავ !

დონ ჯოვანი : დარწმუნებული ხართ ? ლეპორელო, la musica ! (10)

(მაშინვე გაისმის ვალსის ხმა)

ელვირა (ხელებს შლის და თვალებს ხუჭავს) : ცეცხლი !

(დონ ჯოვანი მკლავებს შემოხვევს. ცეკვავენ. სულ უფრო ახლოს იზიდავს)

დონ ჯოვანი : და რაც მთავარია, ნამდვილი ქალი არ წითლდება... !

ელვირა : მე არ ვწითლდები !

ლეპორელო (ნამცხვრები შემოაქვს. თავისთვის): შენიღბვის ხელოვნებას დამიხედეთ: განგებ გაწითლებაც რომ შეუძლია. დიდებული მსახიობია! ჩემი ბატონიც ვერ მოახდენდა ასეთ სასწაულს. იქნებ ის... ოჰ, არა! ოღონდ ეს არ იყოს! Ave Maria Grazia!

დონ ჯოვანი: ქალს ალერსი და ნუგეში შეუძლია...

ელვირა (ლოყაზე ეფერება, უფრო დარცხვენით, ვიდრე მოუხერხებლად): ასე?

დონ ჯოვანი: არა, უფრო ახლოს მოიწიეთ!

ელვირა: ასე?

დონ ჯოვანი (გარყვნილი სახით) : ეს უკვე ძალიან ახლოა... (მოხერხებულად თიავისუფლებს თავს) : თქვენს ნამცხვრებს ნუ ვალოდინებთ !

(ელვირა თვალებით ხვრეტს ლეპორელოს და გაბრაზებული გვერდზე გასწევს. მერე, შეცბუნებული, ნამცხვრებით გაწყობილ მაგიდას მიუჯდება.)

ელვირა : მივხვდით, რა თამაშს თამაშობთ : გინდათ თქვენს მოედანზე გადამიყვანოთ... (დამტკბარი) ახერხებთ კიდევ და თითქმის ძალდაუტანებლად : შვლის ნუკრივით ნაზი და დამყოლი ვარ.

ლეპორელი : ნამდვილად გამოგვიცვალეს !

დონ ჯოვანი (საქმის ცოდნით) : არა, ბატონო ! სწორედ ახლა ჰგავს თავის თავს...

ელვირა : ოდნავ შეცვლილი კი ვარ. სამი დღეა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ და სულ თქვენზე ვფიქრობ.

დონ ჯოვანი: მატყუარა!

ელვირა: დამეც კი აღარ მძინავს. შემომხედეთ, როგორ ჩამიშავდა თვალები...

ლეპორელი: როგორც ყველას.

დონ ჯოვანი: ორგზის მატყუარა!

ელვირა: ფიქრში სულ თქვენ გელაპარაკებით, გონებიდან არ ამომდიხართ და ყოველ სიტყვას თან მოჰყვებით, რასაც კი წარმოვთქვამ. (დეკლამირებს) თვალებზე თქვენი თვალები დამაკარით. თქვენი სურნელით გაჟღენთილ გარსში ვცხოვრობ...

ლეპორელი: ძველი, ნაცადი სტრატეგია! მოდი და რამე დაუხვედრე!

დონ ჯოვანი (თითქოს სიზმარშია): სამგზის მატყუარა...

ლეპორელი: მიდით, ბატონო, თავი მოახვენეთ, რომ უჯერებთ. უთხარით: “სამი დღეა, არც მე მომიხუჭავს თვალი”... მითუმეტეს, პირველად ცხოვრებაში, მართაღს იტყვი. სრული სამი დღეა, ციბრუტივით ტრიალებთ.

დონ ჯოვანი: გეყოფა, გაჩუმდი! (ელვირას) თქვენს თვალებს, თქვენს ტუჩებს... თვალდახუჭული დავხატავ...

ელვირა (თავიდან დამტკბარი, მაგრამ თანდათან მკაცრდება): მეც, დონჯო, მეც შემიძლია, თვალდახუჭულმა მოვიგონო თქვენი ოინბაზობა, თქვენი ორპირობა, თვალთმაქცობა, სისასტიკე, თქვენი გულისამრევი ტყუილები და თქვენი საწყალობელი ხრიკები...

(ელვირა ხელს სტაცებს ნამცხვრებიან ლანგარს და აპირებს დონ ჯოვანის თავში სთხლიშოს)

ლეპორელი: ნამცხვრებს ნუ გადაყრით, დონა ელვირა. უგემრიელესი ნამცხვრებია!

ელვირა (ყურადღებას არ აქცევს ლეპორელოს): თქვენი მამლაყინწობა, ართრიტიანი ფარშევანგის ცეკვა და ნიკრისიანი ბებერი მუსუსის აღლუმი...

დონ ჯოვანი (ლეპორელოს): ჯერ მთლად მზად არ არის, მაგრამ უკვე დაეტყო გრძნობა.

ლეპორელი (ცბიერად): როგორც თქვენ, padron mio...!

დონ ჯოვანი: მე? არასდროს!

- ელვირა: როგორც მას?! (წერილს გამოსტაცებს და კითხულობს)  
 “ბეირფასო ფორტუნატა, წუხანდელი ღამე ღვთიური იყო. თქვენს ნაზ მკლავებში...” სამი დღეა, მხოლოდ ჩემზე ფიქრობს, ჰა?!
- ლექორელი: “სხეულსაც ხომ სჭირდება, გაილადოს...”! (11)
- ელვირა: სულელური უხამსობა! (გაცოფებული იწყებს ნამცხვრების ჭამას)
- დონ ჯოვანი (მამაშვილურად): ჩემო ბეირფასო და ნაზო ბავშვო, ეს გაბრაზება ნათამაშევი არაა, მე ეს ვიცი. თუმცა კარგადაა გამოზომილი. ასეთი ასაკისა და საზოგადოებაში ტრიალის მცირე გამოცდილების კვალობაზე ეს უკვე დიდ ნიჭზე მეტყველებს. ელვირა, ჩვენ თანაბარი სიძლიერისანი ვართ: იქნებ დაგზავდეთ?
- ელვირა (პირგამოტენილი): არასოდეს!
- დონ ჯოვანი: მე თქვენ მოყვარხართ.
- ელვირა (ქუდში იყრის ნამცხვრებს) : მეც მიყვარხართ.
- დონ ჯოვანი : მე მხოლოდ თქვენ მიყვარხართ.
- ელვირა (გასვლას აპირებს, ქირქილით) : გაღმერთებთ... მაგრამ ეს არ იქნება...
- დონ ჯოვანი : ... ჩაროზი ?!
- ელვირა : საჩუქარი ! (სიცილით გადის)
- ლექორელი : ის თქვენი, პატრონო. თქვენ ყველაზე მაგარი ხართ, ვერავინ გაგიწევთ წინააღმდეგობას. ვერასდროს. თუმცა ჯერ მთლად არ დაგნებებიათ... მაინც გავიდეთ სადმე და აღვნიშნოთ! აგერ უკვე სამი დღეა, არ გასულხართ.
- დონ ჯოვანი (ფანჯრის წინ): გავიდეთ? რად მინდა...
- ლექორელი: ფიქრობთ, კიდევ მოვა ამ საღამოს? ვიცი, არასოდეს წავიგიათ: ჯიბეში გიზით უკვე! ჰა, როგორ მოუცვითეთ ნისკარტი? სრული გამარჯვება. უპირობო კაპიტულაცია... ან თითქმის.

(ლექორელი უკვე ახალ ჩარჩოს ამზადებს და მისთვის ადგილს არჩევს კედელზე)

- დონ ჯოვანი: გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება... გვარდია, ეს მე ვარ. (ხელში იღებს ცარიელ ჩარჩოს, ათვალიერებს და თავსა ჰყოფს შიგ): შესანიშნავი ნადავლია, არა?!
- ლექორელი (შუბლზე ხელს ადებს თავის ბატონს): სიკვდილი რა სახსენებელია. მდგომარეობას თქვენ ფლობთ... ეს პატარა სიცხე წარმავალია.
- დონ ჯოვანი: გადამწყვეტია!

(სიბნელე)

### 3.

- ლექორელი: (ხელებით თასი მოაქვს, მკლავზე პირსახოცი აქვს გადაკიდებული):  
 თქვენს მოწყალებას კიდევ არა სურს, რომ პირი გავპარსო?
- დონ ჯოვანი: (ფანჯრის წინ სავარძელშია ჩასვენებული და მხერა გარეთა აქვს მიპყრობილი): რა საჭიროა?

ლეპორელი: იმიტომ, რომ... ყოველდღე ასე ვაკეთებთ ხოლმე.  
 დონ ჯოვანი: აღარ დაბრუნდება. ექვსი დღის განმავლობაში ვიპარსავდი, სურნელს ვიპკურებდი. ვიბანავე კიდევც... წყალი როგორ მეჯავრება, ხომ იცი... ის მაინც არ მოსულა.  
 ლეპორელი: აჰა, ესე იგი ახლა მისი გულისათვის უნდა ვიპარსავდეთ...!  
 დონ ჯოვანი: მისი ან სხვისი გულისათვის. ეს მხოლოდ საბაბია. (კარზე აკაკუნებენ) ლეპორელი, სწრაფად, გააღე!  
 ელვირა (ოთახში შემოიჭრება): აღარა ღირს! უკვე აქა ვარ! საღამო! (დონ ჯოვანის) ო, როგორ დაგაბერათ სამი დღის გაუპარსაობამ!  
 დონ ჯოვანი: ლეპორელი, ხომ გეუბნებოდი, გამპარსე მეთქი! წიკპლის ცემით უნდა გაგაგდო.

(სკამს მიუწევს ელვირას და გალანტურად ანიშნებს, დაჯდეს)

ელვირა: არ ღირს. დარწმუნებული არა ვარ, რომ დავრჩები. ნამცხვრები გაქვთ?  
 ლეპორელი: საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს სახლში ახალგაზრდა ქალბატონის ბოლო სტუმრობის მერე აღარაფერი დარჩა...  
 ელვირა: მით უარესი! წავედი.  
 დონ ჯოვანი: არა, ოღონდაც ეგ არა ქნათ! დარჩით. ლეპორელი, წადი, გაიქეცი, გაფრინდი, იყიდე ნამცხვრები. მოიტანე მთელი კალათა, სკივრი, სატვირთო გემი.

(ესვრის მოზრდილ ქისას)

ლეპორელი (გაშტერებული) : ამდენი ?  
 დონ ჯოვანი : ჯერ არ წასულხარ ?  
 ლეპორელი: როგორ არა, როგორ არა, ამ ქისას ისე მივეწებები, როგორც თავისი ჩრდილი.

(მიდის წინ ხელგაწვდილი ისე, რომ ქისა კარგად მოჩანს)

ელვირა (ხელებს აერთებს და ცერათითებს ატრიალებს): რაზე ვილაპარაკოთ, სანამ ნამცხვრებს ველოდებით? რა მოწყენილობა იქნება!  
 დონ ჯოვანი: არა, ჩემო ანგელოზო, ამბების მოყოლაში ბადალი არა მყავს.  
 ელვირა: ამბავმაც უნდა დამაინტერესოს...  
 დონ ჯოვანი: მიბრძანეთ, ჩემო ღვთაება.  
 ელვირა: თქვენი სატრფიალო გამარჯვებები.  
 დონ ჯოვანი: სენიორი, თუ ის ღირსია სენიორის სახელი ატაროს, ასეთ რამეებს არ ჰყვება...  
 ელვირა: მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა ქალიშვილს სურს, განათლდეს?  
 დონ ჯოვანი: მაშინ მითუმეტეს! თუ მაინცდამაინც, სენიორი მოქმედებაზე გადადის, მაგრამ მარტო სიტყვები – არასოდეს!  
 ელვირა: კარგი, მე წავალ. (დგება)  
 დონ ჯოვანი (მოთმინებაგამოლეული): ეს ხომ გულთამპყრობელთა საძმოს საიდუმლოებებია. განდობილთა ხელობაა. საიდუმლოს გამთქმელი სამუდამო შერისხვით ისჯება. განსაკუთრებით ქალისათვის განდობაა აკრძალული.  
 ელვირა (ვითომ წასვლას აპირებს) : ახლა შეურაცხყოფასაც მაყენებს.  
 დონ ჯოვანი (გაგიჟებული) : არა, არა, დარჩით. (სკამს დაენარცხება). კარგი, ასე იყოს, რისი გაგება გინდათ?



ელვირა (თვალები გაფართოებია და მოუთმენლობისაგან ხელებს ურტყამს ერთმანეთს): როგორ აცდუნებთ ხოლმე? და ვის? მათ, ვისაც უყვარხართ? მათ, ვისაც შესაძლოა, შეუყვარდეთ? მათ, ვისაც თქვენ შეიყვარებდით?

დონ ჯოვანი : არა, არა. რა საჭიროა ამდენი რჩევა? ყველა არსება, ქალი იქნება თუ კაცი, როგორც კი დედის თანაზიარობით მისი ნაზი მუცლიდან გარეთ გამოიდევნება, ხდება მსხვერპლი და სხვა არა უნდა, თუ არა ის, რომ დაიპყრონ. ადამიანები დაბადებით მარტონი არიან, ჩემო ელვირა. ყველანი. მარტონი, მარტოსულები... გულთამპყრობელმა ეს სხვაზე უკეთ და უწინარეს იცის. ესაა მისი ერთადერთი უპირატესობა. იგი გამჭრიახი და უნუგეშო სასოწარკვეთილია და თავისი ცოდნის საფასური უფრო მეტი მარტობით უნდა გადაიხადოს, ვიდრე მოკვდავთა უმრავლესობამ... ვისი იმედიანობაც შურს. სწორედ ამიტომ იგი შურს იძიებს: ყველას იმას ჰპირდება, რასაც ელოდებიან. მარადიულ სიყვარულს. პირველყოფილი ბუდის სანაცვლოდ მსურვალე სხეულს, აღტაცებულ მზერასა და მფარველ მკლავს. მარადის!... მთავარი ეს სიტყვაა, “მარადის”. ჯადოსნური სიტყვა, რომელიც უნდა იმეორო. მოუღლელად. სანამ არ დააჯერებ, არ დაათრობ და მეტყველებას არ წაართმევ. გულთა, სხეულთა, ყველაზე ნაწრთობ და უნდობარ გონებათა გასადები მარადისობაა. და ვინაიდან მარადისობის შემოწმება არავის შეუძლია, დასჯერდებიან დაპირებას, რასაც ბეჭედს დაასვამს ერთი “მარადის”, ოღონდ დარწმუნებით წარმოთქმული. რწმენაც მნიშვნელოვანია. უნდა გწამდეს იმისა, რასაც პირდები. ამ დროს შენი თავიც უნდა გააცურო. ერთი წამით დაიჯერეთ თქვენი დაპირებები და თქვენც დაგიჯერებენ. დიდხანს. არ უნდა იძუნწო: შეპირდი და შეკვიციე. ყველაფერს შეპირდი. თანაც მაშინვე. იღბალი ქალია. იმას ნებდება, ვინც ძალას ატანს. რაც მეტად გაუგონარი და განუხორციელებელი იქნება თქვენი დაპირებები, მით მეტად დაიჯერებენ. და რაკილა ერთი დაგიჯერეს, ვეღარ გაბედავენ, ნდობა უკან წაიღონ. კავშირი შეიკვრება და საკუთარ თავს აღარ გაასაჩივრებენ. ამჯობინებენ, კვლავაც გენდონ. მიუხედავად სინამდვილის უტყუარობისა. ისეთი ტკბილია, ისეთი დამამშვიდებელი და მაამებელია, სხვას რომ ენდობი, სხვის ხელებში რომ მოექცევი. თუნდაც დროთა განმავლობაში ეს ხელები ვერაგ ფიცის გამტეხლობას გიხვეწებდნენ. დედის მუცლის შემდეგ ვის შეუძლია, გარდა ურცხვი მაცდუნებლისა, რომ ყველაფერს შეგპირდეს?

ელვირა (ირონიულად) : თქვენს მსხვერპლს დედად უხდებით?

დონ ჯოვანი : დედა, მამა, მეომარი, უფროსი ძმა და მორჩილი შვილი, ყველაფერი ერთად უნდა იყო. თუ გინდა, რომ ყველაფერი მოიპოვო. მხოლოდ სულელებს ჰგონიათ, რომ ქალებს საყვარელი სჭირდებათ. ეს ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის. ქალები ამბიციურები და გაუმაძღრები არიან. ჰოდა სწორედ ამ ყოვლისმოსურნეობას უნდა დაუგო ხაფანგი. ყველაფერს შეპირდე და არაფერი ითხოვო. გარდა ხელისა, რაზეც ქალები უადგილო სიამაყით თანხმდებიან ხოლმე. შეპირდით ყველაფერს და ისინიც ყველაფერს მოგცემენ.

ელვირა: საწინდარი რომ მოითხოვონ?

დონ ჯოვანი: უნდა დასთანხმდეთ. მაშინვე. და უპირობოდ. მერე უარის თქმას

ყოველთვის მოასწრებთ. ამის გარეშეა ის, რომ ქალები ხშირად მოითხოვენ დაპირებებს და უმრავლეს შემთხვევაში ავიწყდებათ მათი საქმედ ქცევაც ითხოვონ. და კიდევ : არასოდეს დაეჭვდეთ საკუთარ თავში. არც საკუთარ წამოწყებებში. არც გაიფიქროთ, რომ ქალი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შეძლებს, უარით გაგისტუმროთ. თუ ირწმუნებთ საკუთარ წარმატებას, მაღე, იმაზე მაღე, ვიდრე წარმოიდგენთ, მსხვერპლიც იგივეს ირწმუნებს. არასოდეს არ უნდა უთხრათ: “მე თქვენ მსურხართ”. უთხარით: “მე თქვენი ბელი ვარ. უნდა გამომყვეთ. სხვა გზა არ გაგაჩნიათ”. ვის უთქვამს ან მომავალში ვინ ეტყვის ამას? არავინ. დათმობის მეტი რაღა დარჩება ?

ელვირა : ქათინაურები სადღაა ? კუპლეტები მის მშვენიერ თვალეზზე, მარჯნის ტუჩეზზე ?

დონ ჯოვანი (სიცოცხლს ძლივს იკავებს) : ეგ ყველაფერი ძველი სკოლაა ! დეტალისტების საქმეა. ბევრი ძალისხმევა და დრო მიაქვს და ბევრი რისკიცაა, რომ დეტალებში გაიხლართო. არა, რაც შეიძლება ზოგადი უნდა იყო. როცა ეტყვიტ : « შენ ერთადერთი ხარ », ის დაიჯერებს და თავის მხრივ, თქვენც ერთადერთად ჩათვლიტ, ვინაიდან მარტო თქვენ გგონიატ ის ერთადერთი. მოხიბლული უსიტყვო მზერა სავსებით საკმარისია. ბუნდოვან სათქმელს თავად დაასრულებს და დაახუსტებს თავისი გამონაგონით. ისეთი გამონაგონით, რომელიც მას სიამოვნებას მიანიჭებს, ხოლო თქვენ ვერც კი მოგივიდოდატ თავში. ბუნდოვანება მაცდუნებლის მოკავშირეა. ადამიანების სავალალო მისწრაფებასთან ერთად, დუმილი ისე აღიქვან, როგორც თავად აწყობტ...

ელვირა: ვერ გამიგია, რა სიამოვნებას ნახულობენ, ასე რომ ატყუებინებენ თავს და თვითონაც იტყუებენ?

დონ ჯოვანი: რა სიამოვნებას ნახულობენ, კარგი ღვინით რომ იბრუებებიან? ან ნამცხვრებით რომ იპყევიბიან და ნაღებში დაცურავენ? დრო უფრო სასიამოვნოდ გადის და მაშასადამე, უფრო სწრაფადაც. დროის ჭრიალა და ბორძიკით მავალი ფორანი სიამოვნებებით უნდა დაზეტო...

ელვირა: სინდისი არასოდეს გქენჯნით, ასე რომ ატყუებტ?

დონ ჯოვანი: მხოლოდ იმას ატყუებენ, ვისაც სურს, რომ მოტყუებული იყოს. მე ვთვალტმაქცობ, ვითომ მიყვარს. ისინი თვალტმაქცობენ, ვითომ მიჯერებენ. და ყველა ბედნიერია. უბედურება ისაა, რომ როდესაც მე უკვე ვიღლები და უარს ვამბობ მათ მოტყუებაზე, მათ ეს ვერ აჩერებს, კიდევ უნდატ ტყუილი. მარტივად რომ ვთქვატ, მათი სიმთვრალე ჩემსაზე მეტ ხანს გრძელდება. როცა ფხიზლდები, აღარ გსიამოვნებს, წელანდელი თანამეინახე ისე რომ გეკონწიალება, როგორც ბოტლს, რომელშიც ოცნებასა და თავდავიწყებას ეძიებენ. შენ უკვე დაცარიელდი... და უკვე სხვაგან დასალევად მიგიწევს გული.

ელვირა: მერე, როგორ იშორებტ თავიდან?

დონ ჯოვანი: ჰმ, ჩვევის საქმეა: უხეშობა, გადაკარგვა, მზამზარეული ფორმულები: “ბალახი ქორფა ჯობს”, “ვინც ერთთან იერთგულა, სხვებთან ისასტიკა...” და ამისთანები. ადრე თუ გვიან მიხვდებიან და მონასტრის გზას გაუყევიბიან ან თავს ჩამოიხრჩობენ.

ელვირა: ... ჩემი დის მსგავსად.

დონ ჯოვანი: ელვირა, მომიტყევეტ. და მერწმუნეტ, არჩევანი რომ მქონდეს,

ასგზის მიჯობს, ისინი ბედნიერები დავტოვო. მე უმადური არა ვარ: ჩემი ყოფის ყველაზე დიდი სიამოვნებანი ქალებმა მომანიჭეს. მე დაუნდობელი არა ვარ: მათი ტანჯვა არანაირ ტკობას არ განმაცდევინებს. პირიქით, ცრემლები და საყვედურები მათ აუშნოვებს. აბა, აქედან რა მოგება უნდა მქონდეს?

ლეპორელი (შემოდის ნამცხვრებით სავსე უზარმაზარი ლანგრით): ესეც ასე: რომით გაუდენთილი ბაბა, სავარენი, უღრანი ტყე, ნუშის ნამცხვარი, ბაქლაუა და ამა სოფლის ყველა სიამე... დონ ჯოვანისა და მისი სტუმრისათვის.

ელვირა (დგება, გაღიზიანებული): ცუდად ემსახურები შენს პატრონს, ლეპორელი. სიტკობ და სიამე მას აღარ სჭირდება. მეტისმეტი მიიღო უკვე. ქალებმა თავიანთი სიბრძავისა და ეგოიზმის წყალობით სიამის გარდა არაფერი მიუძღვნეს. უმადურები! მას ხომ სულ სხვა რამეზე მოსდის ნერწყვი. იშვიათი და ნუგბარი კერძი უნდა. შენს პატრონს ტანჯვა სწყურია, ლეპორელი. ესაა ერთადერთი, რაც აადელებს დონ ჯოვანის, ერთადერთი, რაც ჯერ არასდროს მიუღია: ქალისაგან მიყენებული ტანჯვა. მიიღებს კიდევ, რადგან ასე გუჟანთებული ითხოვს. (დონ ჯოვანის) ასე, რომ თქვენს მოყირჭებულ თვალებსაც კი მე ერთადერთად დავუჩუჩებ!

ლეპორელი (ფრთხილად დებს ლანგარს განზე): ოჰო, ჰო. ხმალი უშიშვლია უკვე. ყველაზე მეტად კი ის მაწუხებს, რომ ჩემს პატრონს განზრახვაც არ ეტყობა, ხელი ხმლის ვადისაკენ წაიღოს. ფრთხილად, თქვენო მოწყალებავ, რამდენჯერ გითქვამთ ჩემთვის, შეტყვის უპირატესობა არ უნდა დაჰკარგო!

ელვირა: ერთბაშად უნდა მოიპოვო ყველაფერი...

ლეპორელი (დონ ჯოვანის): ო, არა! ნუთუ ყველაფერი უთხარით? გავგიჟებულვარ, მარტო რომ დაგტოვეთ მასთან. საბრალო ბატონი დაუცველი დარჩა...

დონ ჯოვანი (ელვირას): კარგად ვიცი, რომ არ უნდა გამოძეაშკარაებინა თქვენთან ეს ყველაფერი. მაგრამ ეს ხომ სიყვარულის დასტურია. ვიფიქრე, დააფასებდით, ხელ-ფეხშეკრული რომ ჩაგბარდით.

ლეპორელი (თავისთვის): ღმერთმანი, ჭკუას კარგავს. ბატონო, გონს მოდით. ათასჯერ გითქვამთ, რომ სიყვარულის დასტურს...

ელვირა (გაბმით): ... იღებენ და არა გასცემენ. სწორად გავიგე გაკვეთილი, არა, დონ ჯოვანი?

ლეპორელი: მოწაფე მასწავლებელს უსწრებს. უკიდურესი საფრთხე დაგვედგომია.

ელვირა (უეცრად): წავედი...

დონ ჯოვანი: ელვირა, ასე ხომ არ მოიქცევით? ეს სისასტიკეა... მე ხომ გაგენდეთ. მე ხომ მიყვარხართ. თქვენც უნდა შემეყვაროთ.

ლეპორელი: ღმერთმანი, ისე ალაპარაკდა, თითქოს თავის უბედურ მსხვერპლთაგანი იყოს. რა სავალალოდ აღსდგა სამართალი...

ელვირა: თქვენ შეგიყვაროთ? რა თქმა უნდა, შემეძლია ისე შეგიყვაროთ, როგორც ქვეყნად არსებული ყველა ადამიანი მიყვარს. ის, ვინც მხოლოდ ერთს უერთგულებს, ყველა დანარჩენს სასტიკად ექცევაო... (ცბიერი სახით) მე ხომ სასტიკს არა ვგავარ?

ლეპორელი: ჰო, რა თქმა უნდა, “სასტიკი” ის სიტყვა არ არის...

დონ ჯოვანი (ბოლო იარაღს იყენებს): კი მაგრამ ელვირა, ეს ამდენი ნამცხვარი...

ელვირა: აღარ მინდა. ყელში მაინც არ გადამივიდოდა. გულისამრევია აქაურობა. ეს რა ვარდისფერია? მეძავის ბუდუარის კედლებსა

- ჰგავს! ან ეს საძაგელი ავეჯი ლუი XV-ს სტილში! ბებერი მუსუსივით დაგრეხია ფეხები. ეს ამდენი საცოდავი მწერი (სურათებს აჩვენებს), კედლებზე რომ მიურჭვიათ და შეყვარებული თევზების თვალებით მოგვმტერებიან. ეს ადგილი ისე ყარს, როგორც მორგი! მშვიდობით. (ვითომ მიდის)
- დონ ჯოვანი: ყველაფერს შევცვლი, ელვირა. ავეჯს დავწავ, კედლებს ჩამოფხეკ, რასაც მოინდომებთ, იმას გავაკეთებ. თუკი გესიამოვნებათ, საშაქარლამოში გადავალ საცხოვრებლად...
- ელვირა (აჯავრებს): ყველაფერს შეპირდი. თანაც მაშინვე. აჰ, ძველი, ნაცადი გაკვეთილი!
- დონ ჯოვანი: ელვირა, დაუნდობელი ნუ იქნებით, ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ბოროტი განზრახვა არ მამოძრავებს. ახლავე შეგუდგები საქმეს.

(კედლებიდან სურათებს გლეჯს და ძირს ყრის)

- ლეპორელო: ნუ იზამთ, თქვენო მოწყალეებავ. მთელი ახალგაზრდობა ამას შევალე. სასიყვარულო თავგადასავლების ისტორიაში ამაზე მშვენიერ ნანადირევს გამოფენას ვერსად ნახავთ!
- დონ ჯოვანი (აგრძელებს რბევას): მნიშვნელობა არა აქვს! მინდა, ჩემი სიყვარულის საწინდარი მივცე. მინდა, ჩემი სიტყვები საქმით დავუმტკიცო.
- ელვირა (დონ ჯოვანის მიუახლოვდება და მკლავზე შეეხება): ახალი შეგონება მოვიფიქრე, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებდა გულთამპყრობელთა საძმოს საიდუმლოთა შორის: “საქმით ნურაფერს დაამტკიცებთ. ეს თქვენ დაგავალდებულებთ, რადგან ზედმეტად დამაჯერებელი იქნება. მერე საკუთარ თავს ველარ გაასაჩივრებთ და იძულებული იქნებით, გააგრძელოთ. კიდევ და კიდევ. მეტად და მეტად. მალე ისევე დაეკარგება ფასი ამ ყველაფერს, როგორც ნაადრევად გაცემულ ძვირფას საჩუქრებს”. (შხამიანად) მშვიდობიან ღამეს გისურვებთ!

(გაუჩინარდება)

- დონ ჯოვანი: ელვირა, როდის დაბრუნდებით? როდის? (სკამზე დავარდება)
- ლეპორელო (ფილოსოფიურად) : როცა მოეპრიანება...
- დონ ჯოვანი: ლეპორელო, ჩამოგლიჯე ყველაფერი... და დაწვი!
- ლეპორელო: თქვენო მოწყალეებავ, გამოუსწორებელს ნურაფერს ჩავიდნთ. შეგვეძლო დროებით სარდაფში შეგვენახა...
- დონ ჯოვანი: გითხარი, დაწვი-თქო. თუ დაბრუნდება, მინდა, რომ წარსულისაგან გათავისუფლებული მნახოს.
- ლეპორელო: თუ კაცს კეთილი და მკვიდრი წარსული არა აქვს, რომ საჭიროებისას დაეყრდნოს, მას არც მომავალი ექნება... (სურათებს ხსნის) ვაი ჩვენს თავს!... (პირჯვარს იწერს) უფალო მოაშორე ჩვენს სახლს ეს ქალად ქცეული დემონი, რომელიც უბედურსა ხდის ჩემს ბატონს.
- დონ ჯოვანი: გაჩუმდი, ლეპორელო, ნუ მკრეხელობ. იცოდე, თუ შენი უტვინო ლოცვების გამო არ დაბრუნდება, პასუხს შენ გაგებინებ. ის მე ბედნიერსა მხდის... (თავს ხელებში ჩარგავს და ატირდება) როგორც იქნა, ბედნიერს, ჭეშმარიტად ბედნიერს...

## 4.

ლექორელი ლანგარი შემოაქვს. დონ ჯოვანის მხოლოდ პერანგი აცვია, მოშვებული და დათრგუნული ზის სკამზე ფანჯარასთან და ელვირას სახლს გაჰყურებს. ლექორელი ოხრავს.

ლექორელი: კვირაზე მეტია, ასეა. რაც ელვირა წავიდა. ისე მისჩერებია მის ფანჯრებს, თითქოს სამოთხის კარი იყოს. ეს პატარა შარახვეტიაც დღეში ერთხელ მოეჩვენება. მაცთუნებლად შალიფად ჩაცმული. ყვავილებს მორწყავს და ჩემს ბატონს ვითომ ვერც ხედავს. არც მისი ხმა ესმის ვითომ, როცა ბატონი ფანჯარას ადებს და ეძახის... (დონ ჯოვანის) ჩაი მოგართვათ თუ ყავა, თქვენო მოწყალეება?

დონ ჯოვანი (ისევ ზურგიითაა და ფანჯარას გაჰყურებს): ჰო...

ლექორელი: რას გეუბნებოდით?... რამდენი დღეა, არცა ჭამს, არცა სვამს. არის ასე მარტო, ჩუმად, პირქუშად. ხანდახან ელვირას სახლში ვინმე კაცი თუ დაინახა შესული, მძვინვარე გიჟი ხდება. მერე ისევ მოედვენება.

დონ ჯოვანი: რომელი საათია?

ლექორელი: დილის ექვსი საათია, თქვენო მოწყალეება. დროა, დაიძინოთ. მესამე ღამეა, რაც არ დაწოლილხართ.

დონ ჯოვანი (მეოცნებედ): კიდევ ორი საათი და ისიც ადგება. იქნებ დღეს გამომეპასუხოს... და ნახვასაც დასთანხმდეს.

ლექორელი: დიდი გამოცანა არ უნდა, რომ ყოველ დილას ამას იმედოვნებს და იმედი პირწმინდად უცრუვდება.

დონ ჯოვანი (მოულოდნელად გამხიარულდება): სერენადა რომ გვემღერა?

ლექორელი: რისთვის, გუშინწინდელივით ერთი სათლი წყალი რომ დაგვასხას თავზე? კიდევ რა უჭირს, თუ იოლად გადავრჩით და იმდღევანდელივით მოსამსახურეებს არ გამოარეკინა ჩვენი თავი...

დონ ჯოვანი: სამკაულები რომ გავუგზავნოთ?

ლექორელი: აჰ, სულ დამავიწყდა. ის ზარდახშა, რაც ადრე გავუგზავნეთ, გაუხსნელად დაგვიბრუნა. თან ბარათი მოაყოლა...

დონ ჯოვანი: მისი ხელით დაწერილი ბარათი? ჯალათო ! რატომ არაფერი მითხარი?

ლექორელი: ვშიშობ, მისი წაკითხვის შემდეგ უარესად არ იგრძნოთ თავი.

(ჯიბიდან პატარა კონვერტს იღებს. დონ ჯოვანი მივარდება და წერილს ართმევს. სწრაფად და მოუხერხებლად ხსნის)

დონ ჯოვანი (კითხულობს): “ქალებს აქვთ სავალალო მიდრეკილება, იფიქრონ, როცა მათ ლითონის სათამაშოს ჩუქნიან...”

ლექორელი: ლითონის სათამაშო? ცხრა მთის იქიდან ჩამოტანილი რუხი მარგალიტის ყელსაბამზე ამბობს? გამკვირვებია, ცოტა არ იყოს...

დონ ჯოვანი (კითხვას აგრძელებს): “... რომ მათ მარადისობას ჩუქნიან.

ოღონდ მე ასე არ ვფიქრობ.” (სკამს დაენარცხება)

გაუმადლარი. არც სამკაულებმა ივარგა, არც სერენადებმა, არც ცოლად შერთვის დაპირებამ.

ლექორელი: არაფერი ჭრის, თქვენო მოწყალეება. არ სჭირდება თქვენი სიყვარული, სხვას ვერაფერს დაასკვნი. მას მხოლოდ ის უნდა, რომ დაგტანჯოთ და დის გამო შური იძიოს. ყველაფერი

- გარკვეულია და სჯობს, მეტი აღარც ვილაპარაკოთ.
- დონ ჯოვანი: ჰო მაგრამ, რატომ? რატომ არ ვუყვარვარ, ეშმაკმა დალახვროს?! მე ხომ მიყვარს?!
- ლეპორელო: ეს მიზეზი დღემდე არავისთვის ყოფილა საკმარისი, რომ თავი შეეყვარებინოს. მეტსაც ვიტყვოდი, თუ თქვენი მოწყალება ნებას დამრთავს, ვიტყვოდი, რომ ყველა მიზეზთა შორის, რითაც სიყვარულის მოპოვებას ცდილობენ, ეს აშკარად ყველაზე უფარგისი... და ნაკლებშედეგიანია.
- დონ ჯოვანი: როგორ მოვიქცე, ლეპორელო?... როგორ მოვიქცე?
- ლეპორელო: (მიუახლოვდება): გაერთეთ, თქვენო მოწყალება, დაივიწყეთ იგი. მოწყდით ამ ფანჯარას. ან თუ მას ჯადომ მიგაღურსმნათ, გამოიყენეთ ეს სამზერი. შეხედეთ, რა მშვენიერი წითური ქალი მოდის ქუჩაში. ფრიად მიმზიდველია. თან გიღიმით...
- დონ ჯოვანი: ჰო, სასაკლაოზე მიმაგალი ცხოველივით იღიმება. ეს ის არ არის, ვინც ელვირასავით გულახდილად დამელაპარაკება. ეს ის არ არის, ვინც ისე წაიკითხავდა აზრებს, როგორც ის უმადური...
- ლეპორელო: ის ქერა მაღალი ქალი, აი იქ? უმადურად სულ არ გამოიყურება. ხელიც დაგიქნიათ.
- დონ ჯოვანი: რომელი ხელი? მე მხოლოდ დონდლო თათი დავინახე! ოჰ, ნაზი ელვირას ღვთიური ხელები, ჩვილ ბავშვის მსგავსი... მისი გრაციოზული მიხვრა-მოხვრა... ქვეყნად რომელი ქალი შეედრება ამ გაცოცხლებულ დახვეწილ მინიატურას?
- ლეპორელო: თუმცა წინათ მაღალი ქალები მოგწონდათ. მათი მოუქნელი სილამაზე, მათი დუნე ნაკვთები, აბა გაიხსენეთ!
- დონ ჯოვანი: ჭკუა არა მქონდა...
- ლეპორელო: ახლა უფრო გავხარტ ჭკუადაკარგულს...
- დონ ჯოვანი (ძალაგამოღებული): რატომ არ ვუნდივარ? რატომ?
- ლეპორელო: ცოტა მუსიკა არ გვაწყენდა. მუსიკოსები ქვემოთ არიან, ახლავე ვანიშნებ. (ფანჯარას აღებს და ყვირის). ეჰ, ერთი დონ ჯოვანის სერენადა გვიმღერეთ. (ისმის მოცარტის “Ah, vieni a la finestra, oh, mio tesoro...”) (12)
- დონ ჯოვანი: ... მშვენიერია...
- ლეპორელო: ეს თქვენი დაწერილია, მონსენიორ. გაიხსენეთ. ეს ის სერენადაა, დონა ელვირას მოახლეს რომ შეუთხზით... (გამოერკვევა) ოჰ, წამომცდა!
- დონ ჯოვანი (მეოცნებედ): ელვირა...
- ლეპორელო: არა, ის სხვა ელვირა იყო! გულუხვი, შეყვარებული ელვირა, მისივე მოახლის გულისათვის რომ მიატოვეთ: პატარა პრანჭიკელა შავგვრემანისათვის, რომელსაც ქვედაკაბაში ეშმაკი ჰყავდა ჩასახლებული. სხვათა შორის, ის ახლა ქალაქშია... შემიძლია, მოვაყვანინო.
- დონ ჯოვანი (სიმღერის სიტყვებს უსმენს): “შენ, ვინაც გულით შექარს ატარებ”... კარგი აზრები მომდიოდა...
- ლეპორელო: ოჰ, რა თქმა უნდა...
- დონ ჯოვანი: მითხარი, ლეპორელო. სიმართლე მითხარი. რატომ არ შემიძლია, ჩემს ელვირასაც ასე ველაპარაკო? აუცილებლად დათმობდა. როგორც მანამდე სხვა ქალებს დაუთმიათ. რატომ არ შემიძლია მისი მოხიბვლა? თან მეჩვენება, რომ იგივეს ვეუბნები, რასაც ჩვეულებრივ ვამბობდი ხოლმე...
- ლეპორელო: ჰო. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობაა. ახლა თქვენ მართლა გჯერათ თქვენი სიტყვების. ჰოდა, საბედისწეროდ, ნაკლებ

დამაჯერებელი ხართ, ვიდრე მაშინ, როცა ცრუობთ. სიყვარულში მაშინ უფრო იოლად დაარწმუნებ, როცა არ გიყვარს. მაგრამ თუ მართლა გიყვარს... და ჩვენდა საუბედუროდ, თქვენ ის გიყვართ.

დონ ჯოვანი (დუნედ): ჩემს სახლში მაგ სიტყვებს ნულარ გაიმეორებ!

ლეპორელი: გავიმეორებ თუ არა, სიმართლე ამით არ შეიცვლება.

დონ ჯოვანი: ან ეს რა აკვიატებაა, პირდაპირ რომ არასოდეს ამბობს უარს.

დილით ძალიან დაღლილია. სადილზე სადღაცაა მიწვეული.

სადამოს? “ნანა უნდა ქნას”. ვერ ვიტან ამ საძაგელ გამოთქმას,

ძალზე მდარე გემოვნებისაა. თუმცა მომხიბლავიც კი მეჩვენება,

როცა მას მისი პატარა, მრგვალი ტუჩები წარმოთქვამენ. ორმაგად

მაწამებს. მითხრას მაინც, რომ არ ვუყვარვარ.

ლეპორელი: ჯერ ერთი: არ დაუჯერებთ. მეორეც: ის სულელი როდია. იცის,

რომ უარი არასოდეს უნდა თქვას. რომ მხოლოდ უნდა დაპირდეს,

დაპირდეს. სიტყვის გატეხვას ყოველთვის მოასწრებს. მან ხომ

მშვენიერი სკოლა გაიარა. თქვენ თვითონ ასწავლეთ, როგორ

იხმაროს იარაღი, რომელიც თქვენვე შემოგიბრუნათ.

დონ ჯოვანი (ენერგიულად წამოხტება): ჰო არა? მაგასაც დავინახავთ. სადაც

თავაზიანობა არა ჭრის, იქ ძალას გამოვიყენებ.

(ღგება და მოხეიძე ენერგიულობით იკრავს ღიღებს)

ლეპორელი: ჩინებული ნათქვამია!

დონ ჯოვანი: თუ რამეს არ გაძღვევენ, თვითონ უნდა აიღო.

ლეპორელი: აჰ, როგორც იქნა, ჩემს პატრონს ვცნობ...

დონ ჯოვანი: მასთან მივდივართ!

ლეპორელი: უნდა მოვკლათ?

დონ ჯოვანი: ჯერ არ ვიცი. ცოცხალი თუ მკვდარი, მე ის მჭირდება. წავედით!

ლეპორელი: როგორ, ასე? უხმლოდ, უჩაფხუტოდ, მით უმეტეს უფაროდ?

დონ ჯოვანი: წავედით მეთქი.

ლეპორელი: ბატონო, ჩაიცვით, იარაღი აისხით! და რაც მთავარია,

დამშვიდდით. პერანგისამარა მისვლა საბედისწერო შეცდომა

იქნებოდა. ეს აჩქარება თქვენს სასოწარკვეთასა და

გულისწადილს გაუმჟღავნებს. გულგრილობა უნდა გაითამაშოთ,

რამდენჯერ გითქვამთ ჩემთვის...

დონ ჯოვანი (გადის): სისულელეა!

(გადის მებრძოლი და შთაგონებული სახით. მასთან შედარებით ნაპოლეონი არკოლის ხიდთან შეშინებული გამოჩნდებოდა)

ლეპორელი: წავედით. ჩვენ ბერეზინა (13) გველოდება!

(უხალისოდ მიდის, ხელში ლანგარი უჭირავს)

\*

დონ ჯოვანი (ელვირას კარს მუშტებს უბრახუნებს) : ელვირა, უმადურო, უღმერთო ურჩხულო, კარი გააღე ! მოვედი, რომ მოგკლა და მერე

თავი მოვიკლა ! უგულო ქალო, გაადე მეთქი ! წინ დაუდექი მას, ვისი დაღუპვაც განიზრახე და დატკბი შენი გამარჯვებით. მოვედი, რომ ჩემი ხელით მიიღო სიკვდილი.

(ლეპორელო ფრთხილად დგას რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. კარი დარტყმებს ვერ უძლებს და იღება. დონ ჯოვანი და ლეპორელო აღმოჩნდებიან ნახევრადბნელ ოთახში. გამოჩნდება ელვირა. შიშველი)

ელვირა: აი თურმე როგორ უნდა შეხვიდე ქალთან, რომელსაც მამა მოუკალი, დედა შეუცდინე, და კი თვითმკვლელობამდე მიიყვანე. თან ყველაფერ ამას სიყვარულის სახელი დაარქვა! რა მასხარაობაა!

დონ ჯოვანი: ის ხომ... ის ხომ შიშველია. (ფარდას ჩამოგლეჯს და შემოაფარებს)

ელვირა: ჩემი სიშიშველე ასეთი შემზარავი სანახავია?

დონ ჯოვანი (დაბნეული): ელვირა, ჩემო საუნჯევ, თქვენ ყველაზე ღამაზი ქალი ხართ ამ ქვეყნად. თქვენი პუტკუნა, მადისაღმძვრელი პატარა ტანი ერთადერთი სანახაობაა, რაც მიწიერ სამოთხედ ეღირებოდა. მაგრამ ასე ნუ დაიარებით! არ მინდა ვინმემ ასე გნახოთ, ვინც არ უნდა იყოს იგი! თუნდ ლეპორელომ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მსახურია.

ლეპორელო (შეურაცხყოფილი): გაგიჟებულხართ, მონსენიორ! რისი გეშინიათ? რას ვნახავ, რაც უკვე არ მინახავს? პირველსავე დღეს ნათლად დავინახე, ვინც არის. სულ არ მჭირდება, კაბა გაიხადოს, რომ რქები და მოგრეხილი ფეხები შევამჩნიო. ეს თქვენა ხართ ბრმა, რომ ვერაფერს ხვდებით... (ძალზე შეურაცხყოფილი) მაშ მსახურიო?! საკმარისია, მე ყელში ამომივიდა. სხვა ლაქია მოძებნეთ.

(ძირს აგდებს ლანგარს, რომელიც სიჩქარეში თან წამოიღო და გადის)

ელვირა: წავიდა!

დონ ჯოვანი: სულ ერთია. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, ოღონდ თქვენ გხედავდეთ.

ელვირა: არა ხართ მართალი. მე მომწონდა ლეპორელო. მოაბრუნეთ. ეს თხოვნაა.

დონ ჯოვანი: რას არ ვიზამ, ოღონდ თქვენ გასიამოვნოთ. (გადის. ელვირა ამით სარგებლობს და კარს კეტავს. ზღურბლთან გაჩერებული დონ ჯოვანი თავს ხელებში რგავს) აჰ, რა ოდიოტი ვარ. ქალის უნახავი მიმნდობი ბრიყვივით ვიქცევი... აჰ, Statua gentilissima del Gran Commendatore (14), გევედრებით, შთამიყვანეთ ჯოჯოხეთში. დაე, მარადიულმა ცეცხლმა დამწვას, ფურიებმა გამგლიჯონ, ტყავი გამაძრონ, ჩემმა ძველმა საყვარლებმა მამაკაცური ღირსება წამკვეთონ. წარბსაც ვერ შემახრევიანებს ეს წამება, ერთი ჩივილიც არ დამცდება. პირიქით: გამუდმებით მადლობას მოგახსენებთ, დღევანდელ სატანჯველს თუ ამარიდებთ. მოვინანიებ, ბოდიშს მოგიხდით, ვისაც გნებაეთ, იმას შევირთავ... ყველაფერს ვიზამ, ყველაფერს... თუ თქვენ შეგიძლიათ, ისე ჰქნათ, რომ იგი გადავიყვარო.



\*

(ელვირას სახლში გამოჩნდება კომანდორი და ფანჯრისაკენ მიემართება)

კომანდორი (გარეთ იყურება, ელვირას): მართალი იყავი, ჩემო პატარა. მშვენიერი იდეა იყო. ოჰ, როგორ იტანჯება. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. შურისძიებაც ამას ჰქვია! (დაეჭვებით) მაგრამ ცოტა სასტიკი კია. ეგებ არც გვაპატიოს ზეცამ, ვის განგებასაც აღვასრულებთ ჩვენის აზრით. (აკაკუნებენ). ელვირა, გააღე კარი.

ელვირა: მისი ნახვა არ მინდა.

კომანდორი: ეს დონ ჯოვანი არაა. ის ველურივით დაძრწის სახლის გარშემო. ლეპორელი აკაკუნებს. (ელვირა გადის. კომანდორი ფანჯარაში იყურება) მე მგონი, ჭკუიდან გადაცდა. ტანსაცმელს იფლეთს, თმებს იგლეჯს და ტირის. სათქმელადაც კი ძნელია... მაგრამ მე უკვე მებრალეა ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ მან მაქცია აჩრდილად. ეს კაცი, რომელმაც თვითმკვლელობისაკენ უბიძგა ჩემს უფროს ქალიშვილს, ჩემი ცოლი კი მონასტერს გაუყენა. და მე უკვე მეშინია ჩემი უმცროსი ქალიშვილის... ძალიან უცნაური შურისძიებაა, რომელმაც თავდაყირა დააყენა შურისმაძიებლისა და მსხვერპლის მოტივები!

(ლეპორელი შემოდის გასაცოდავებული სახით და თითებით აწვალებს იმას, რაც ადრე მისი ქუდი იყო)

ლეპორელი: გამარჯობა, ღრმადპატივცემული აჩრდილო. როგორც დონა ელვირას ვუთხარი, თქვენს სახლში მინდა, სამუშაო მოვნახო. ადრე აღებული ყველა ვალდებულებისაგან თავისუფალი ვარ ჩემი ყოფილი ბატონის აშკარა სიგიჟის გამო.

კომანდორი: სიგიჟე? სწორი იქნებოდა, სიყვარული გეთქვათ.

ლეპორელი: მომიტევეთ ჩემი უბრალოება, მაგრამ ჩემთვის ეს ერთი და იგივეა.

კომანდორი: ვირთხები პირველები ტოვებენ დასაღუპად განწირულ ხომალდს.

ლეპორელი: არ გედავებით, მოღალატე ვარ. მაგრამ თუკი ამის საშუალება არის, მირჩენია, გამარჯვებულის მხარეს მყოფი მოღალატე ვიყო. ვერაგ ბრძოლაში თქვენმა ქალიშვილმა დაამარცხა ჩემი ბატონი. ახლა სამართლიანობა მოითხოვს, დამარცხებულის მთელი ქონება, ჩემი და ყოფილი საყვარლების სურათების ჩათვლით დონა ელვირას გადაეცეს.

ელვირა : მამა, უსამართლოდ ნუ მოექცევით ლეპორელს. ის კარგი მოწაფეა და მკვირცხლი გონება აქვს. თუკი მან თავის ბატონს უღალატა, ეს იმიტომ, რომ მან გაიგო, რომ ჩვენ ჩვენი ნაკლოვანებებისათვის ვუყვარვართ, რომ ჩვენ ჩვენი შეუბრალებლობისა და ცვალებადობისათვის გვაჯილდოებენ და რომ ჩვენ ჩვენი ერთგულებისათვის გვსჯიან.

ლეპორელი: გმადლობთ, დონა ელვირა. შეიძლება, უკანასკნელად შევხედო ჩემს ძველ პატრონს და ჩუმიდ გამოვემშვიდობო? (ფანჯარასთან მიდის) საბრალო ბატონი, გაგიჟდა...

ელვირა: (ფანჯარასთან, ხმადაბლა ეუბნება ლეპორელს) ჯოვანი ჭკვიანია... და ბედნიერი. ბოლოსდაბოლოს!

ლექორელი: ის ისე მარტოა...

ელვირა: მეც, ამიერიდან მეც მარტო ვიქნები. სამუდამოდ! მაგრამ მე ერთადერთი უნდა ვყოფილიყავი. ასეთი იყო გამოსასყიდი...

(ლექორელი შეკავებულ ცრემლს იწმენდს)

კომანდორი (ელვირას): მე ვმიშობ, ჩემო შვილო, რომ ერთ დღესაც ვინმე სხვა კომანდორმა არ შთაგიყვანოთ ჯოჯოხეთს, რათა მის ცეცხლში გამოისყიდოთ ცოდვები. დამსახურებული ზღვევაც იქნებოდა!

ელვირა (ალერსიანად): როგორც ინებებთ, მამაჩემო. მანამდე კი ჩემს ბედისწერას აღვასრულებ. მერე... დე, იყოს ცეცხლი, რატომაც არა? (თავისთვის) ყოველთვის ჰო ვთქვათ. ყველაფერზე. სიტყვის გატეხვას ყოველთვის მოვასწრებთ. ბრძნული რჩევაა. (ცოტა ხანს ფიქრებშია ჩაფლული, ბაგეზე ნაზი ღიმილი აფენია) აბა... ლექორელი, საჭმელი მოგვართვი. ამაღამ ვახშმად კომანდორი გვყავს.

\*

უღერს იგივე მუსიკა, რაც პირველი ვახშმობისას. კედლის საათი ათჯერ რეკს. ლექორელი ფარდას ჩამოუშვებს ფანჯარაზე, რომელსაც ისევ მისჩერებია კომანდორი. ეს ფარდა ეფარება მარადიულ განმეორებას მაცდუნებლებისა, კომანდორებისა და პატარა გოგონებისა, რომელთაც საკმარისად არ ვუფრთხილ ხოლმე.

შენიშვნები:

1. და პონტე, ემანუელე კონელიანო, ლორენცოდ წოდებული (1749 – 1838) – იტალიელი პოეტი და ლიბრეტისტი. წერდა ლიბრეტოებს სალიერის, მარტინ ი სოლერის, მოცარტის ოპერებისათვის. მას ეკუთვნის ლიბრეტოები მოცარტის შემდეგი ოპერებისა: “ფიგაროს ქორწინება”, “დონ ჯოვანი”, “Cosi fan tutte” (“ყველა ქალი ასე აკეთებს”).
2. “დონ ჯოვანი” – მოცარტის ორაქტიანი ოპერა, ლიბრეტო ლორენცო და პონტესი, 1787 წ.
3. “Già le mensa è preparata” (იტალ.) – “სადილი უკვე მზადაა”
4. ”Non più andrai farfallone amoroso” (იტალ.) – «ვეღარ წახვალ, შეყვარებულ პეპელა (ფრანტო) »
5. “Signor, il padron mio” (ხალხ. იტალ.) – სინიორ, ჩემო პატრონო
6. bellissima (იტალ.) – ულამაზესი

7. amorosa (იტალ.) – შეყვარებული
8. generosa (იტალ.) – დიდსულოვანი, გულუხვი
9. Presto! Prestissimo (იტალ.) – სწრაფად! ძალზე სწრაფად!
10. la musica (იტალ.) – მუსიკა
11. “სხეულსაც ხომ სჭირდება, გაილაღოს” – ფრაზა ჟაკ ბრელის სიმღერიდან
12. “Ah, vieni a la finestra, oh, mio tesoro” (იტალ.) – “აჰ, მოდი ფანჯარასთან, ჩემო ძვირფასო”
13. ბერეზინა – მდინარე ბელორუსიაში, რომლის გადალახვაც მოუწია 1812 წლის ნოემბერში რუსეთიდან უკანდახეულ ფრანგულ არმიას. ესაა მარცხის ეპიზოდი, რომელმაც ბევრი ტანჯვა და სიკვდილი მოიტანა. ამიტომაც ფრანგულ სასაუბრო ენაში სიტყვა « ბერეზინა » კატასტროფული მარცხის სინონიმად დამკვიდრდა.
14. Statua gentilissima del gran Commendatore (იტალ.) – დიდებული კომანდორის კეთილშობილო ქანდაკება

ფრანგულიდან თარგმნა  
ნინო ციმაკურიძემ

დაიბეჭდა in: აღმანახი “ახალი თარგმანები”, №7, 2009 ISSNBN 1512-2247